# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.



პარასკევი, 14 იანვარი, 2011 წელი.

№8 (6619)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## გაცუცურაკებული აქტივისტები ნოღაიდელის წინააღმდეგ, ნოღაიდელი — იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ...

2

## ბევრი რამ უცნობი მასალა ალ-ქაიდას, ანუ გლობალური ჯიჰადის მქადაგებელთა გაერთიანებაზე

არსენალი



9

## ბიჭვინთაში მოსკოვის პატრიარქატის საკულტო კომპლექსი შენდება

2

## ჩვენს მკითხველებს




### გამოეხმაურეთ „ქართული აკადემიის“ ტკბილ-მწარე საახალწლოდ ფიქრებს

ძვირფასო მკითხველო!

გუშინ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, ალბათ, გაეცანი „ქართული აკადემიის“ ვრცელ მასალას — „ტკბილ-მწარე საახალწლო ფიქრებს“, რომელმაც უთუოდ ჩაგაფიქრა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის ბედზე. ამ ტკბილ-მწარე ფიქრების არსი ის არის, რომ თითოეული ჩვენგანი, მთელი საზოგადოება შევთანხმდეთ იმაზე, თუ რისთვის, რა იდეალებისთვის, როგორი მომავლისთვის ვიბრძვით. კარგად გავიაზროთ და დავარწმუნოთ საკუთარი თავიც, დღეს ხელისუფლებაში მყოფი ხალხიც და საერთაშორისო საზოგადოებრიობაც, რომ ჩვენი ბრძოლის მიზანი არ არის ერთი უსამართლობისა და პარანოიის მეორით შეცვლა.

იმედია, შენც ჩაერთვები, ძვირფასო მკითხველო, ამ წმიდათაწმიდა ბრძოლაში და პირუთვნელად მოგვწერ შენს ნაფიქრსა და ნააზრევს ამ ბრძოლის თაობაზე.

მოუთმენლად ველით შენს გამოხმაურებას, რომელსაც ყოველდღიურად ფართო ადგილს დავუთმობთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

## აქა ამბავი გარემოს დაცვის სამინისტროში პრემიების დაგეგმოვნებით შეხრამუნებისა, ეს მაშინ, როცა ტყეში კურდღელი მომკვდარიყო



6

## წინ — უკან-უკან, ანუ ნუთუ ღარი საბოლოოდ დაცურდა გაუფასურების თავდაღმართზე?




4



## იმ ავად მოსაგონარ ომში ერთნაირად დაზარალდნენ სოხუმიცა და თბილისიც, რაც მთავარია – სულიერად, რისი ანაზღაურებაც ნამდვილად შეუძლებელია

3

## ეს ჩვენი საქართველოა: 7

### აკაკი შანიძის „ქართული ეროვნული ჰიმნი“



ამა, ფხიზლად ქართველებო!
მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ,
ჩავუფიქრდეთ მომავალსა!

5 დეკემბერი, 1917 წ. დედა-ქალაქი

### 14 იანვარი ლადო ასათიანის დაბადების დღეა:



ჩვენ, როგორც ძველი ღვინო ლეჩხუმური,
უცებ შენი ლექსი მოგვეკიდა.

იოსებ ნონეშვილი

### პოეტი დავით მაღრაძე გახდება თუ არა ქართველი ნობელიანტი?



## პარტიებსა და მოძრაობებში

# გაცუცურაკებული აქტივისტები ნოღაიდელის წინააღმდეგ, ნოღაიდელი — იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ...

## ვინ არის დამნაშავე?

**ცოტა არ იყოს, უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა — ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი საკუთარი ხელითა და ფინანსებით შექმნილი პარტიის თავმჯდომარეობიდან ისე გადააყენეს, რომ მისთვის არაფერი უკითხავთ.**

**„სამართლიანი საქართველოსთვის" აქილევსის ქუსლად ადგილობრივი არჩევნები იქცა, როცა პარტიამ „კარდაკარის" ორგანიზება ითავა და აქტივისტებს შესაბამის თანხასაც შეჰპირდა. თანხის ნაწილი დღემდე გაუცემელია, ხოლო მოტყუებული ადამიანები — ბუნებრივია, გაბრაზებული .**

არ ვიცი, რატომ ულირდა ზურაბ ნოღაიდელს ამ თანხის გაცემა ასეთ აყალმაყალად. ვფიქრობთ, ის უსახსრობას ნაღვილად არ უჩივის მისი უცხოეთში გახშირებული ვიზიტებიდან თუ რამდენიმე ფეშენებელური ოფისების დაქირავებიდან გამომდინარე.



ნოღაიდელთან დაპირისპირებულმა ადამიანთა ჯგუფმა 23 დეკემბერს პარტიის რიგგარეშე ყრილობა ჩაატარა და პარტიის თავმჯდომარე ერთხმად გადააყენა, რისი ოფიციალური დადასტურება მათ იუსტიციის სამინისტროდან ითხოვეს. ამ უკანასკნელმაც გადაწყვეტილება შესაშურად სწრაფად მიიღო და რეესტრში გაატარა მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" სახელით ყრილობის დელეგატთა მოთხოვნა, ცვლილებების რეგისტრაციის თაობაზე.

ზურაბ ნოღაიდელი და მისი თანამოაზრეები სამინისტროს განაჩენს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ და დოკუმენტის გაზიარებას არ აპირებენ. თუმცა, ჯერ ისევ უცნობია, საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ზურაბ ნოღაიდელი, გაასაჩივრებს თუ არა იუსტიციის სამინისტროს განაჩენს.

გამგეობის 14 წევრიდან მხოლოდ ერთი — სერგო ჯავახაძე დაუპირისპირდა პარტიის თავმჯდომარეს. რაც შეეხება პარტიის საბურთა-



ლოს რაიონული ორგანიზაციის ყოფილ თავმჯდომარეს ნატო ხოხიაშვილს, მისი სახელის ხსენებაც კი ზარავთ ნოღაიდელის მხარდამჭერებს. გამგეობის ერთ-ერთი წევრი **კობა აბულაძე** ირწმუნება, რომ ხოხიაშვილი პარტიის წევრი ოფიციალურად არასოდეს ყოფილა. ჩვენ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**— ბატონო კობა, იყო თუ არა იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება კანონიერი ან უკანონო, ამაზე მეტად ის გვაინტერესებს, რატომ გააბრაზეთ ასე მწარედ ნატო ხოხიაშვილი. რატომ დაიპირისპირეთ?**

— ხოხიაშვილი არასოდეს ყოფილა პარტიის წევრი და ძალიან გთხოვთ ნურაფერს მკითხავთ მასზე.

**— შეიძლება ოფიციალურად არ გაწევრებულა, მაგრამ აქტიურად რომ იყო ჩართული პარტიის საქმიანობაში?**

— ერთია ის, თუ რას მოღვაწეობდა და რა სიხშირით დადიოდა პარტიაში და მეორეა, იყო თუ არა იურიდიულად პარტიის წევრი. შეიძლება ადამიანს ხელი ჩამოართვა, რაღაც ღონისძიებას დაესწრო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პარტიის წევრი ხარ.

**— თუკი აქტიურობდა პარტიის სასარგებლოდ და პარტიის მუშაობაში იყო ჩართული?**

— არა, ის არასოდეს ყოფილა ჩართული პარტიის მუშაობაში. ამის არანაირი ლეგიტიმაცია მას არ ჰქონდა. ეს არის ადამიანი, რომელიც ნებისმიერი სხვა პარტიის ღონისძიებებზე დადიოდა და დღესაც დადის.

**— რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, ფაქტია, რომ „კარდაკარის" შესრულებული სამუშაოს თანხა ბევრისთვის დარიგებული არ არის. სწორედ ამან განაპირობა თქვენს პარტიაში აურზაური.**

— იცით რა, ეს ყველაფერი არის თითიდან გამოწოვილი. ეს არის ამ ხელისუფლების კონკრეტული გეგმა, რომლის შესახებაც ჩვენ დეკემბრის დასაწყისში გამოვაცხადეთ. ჩვენ გვქონდა ინფორმაცია ამის შესახებ.

**— მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანებს თანხა არ აუღიათ და გულწრფელად ჩივიან.**

— კი მაგრამ, ვინ გითხრათ, რომ ეს ფაქტია?

**— ჩემი ნათესავისგან ვიცით, რომელსაც შეჰპირდნენ თანხას, მაგრამ დღემდე არავის მიუცია. მართალია, ის არ ჩივის, მაგრამ გულდაწყვეტილია. მითხრა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში რეკავდა, მაგრამ უბრალოდ, დაიღალა, ხოლო ამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა საერთოდ იმედი გადაუწურა.**

— ახლა კონკრეტულად ვის არ მისცეს, ამაზე ნამდვილად ვერ ვისაუბრებ. ეს არ არის ჩემი კომპეტენცია. ჩემთვის ის არის მთავარი, რაც იუსტიციის სამინისტრომ გააკეთა, დანარჩენი ყველაფერი ბლეფია, რა, დამიჯერეთ.

**— იუსტიციის სამინისტრომ ის გადაწყვეტილება მიიღო, რაც სამართლიანად მიიჩნია. თქვენ რას აპირებთ, რითი დაუპირისპირდებით?**

— ბატონი ზურაბი გააკეთებს განცხადებას, როცა ამერიკიდან ჩამოვა.

**— ის, ალბათ, თავს კვლავ თავმჯდომარედ მიიჩნევს და სულაც არ აპირებს მხოლოდ გამგეობის წევრად დარჩენას.**

— ხომ გეუბნებით, ჩამოვა და თვითონ იტყვის. ჩვენ ახლა ვიმკითხაოთ, მას რა განწყობა აქვს?!

**— კი მაგრამ, ხომ იცით მისი პოზიცია, არა?**

— თვითონ გააკეთებს განცხადებას.

**— თქვენ ხომ წინასწარ იცოდით იმის შესახებ, რომ ხოხიაშვილი და მისი მომხრეები ყრილობის ჩატარებას და ნოღაიდელის გადაყენებას აპირებდნენ. რატომ არაფერი მოიმოქმედეთ სიტუაციის განსამუხტად?**

— სანამ ყრილობა ჩატარდებოდა, იუსტიციის სამინისტროში წერილი შევიტანეთ, ყრილობის შემდეგ — ორი, სადაც დასაბუთებულად განვაცხადეთ, რომ ჩვენი მოძრაობის წესდების თანახმად, რიგგარეშე ყრილობის მოწვევის უფლება აქვს გამგეობას, რომელიც ამ გადაწყვეტილებას მიიღებს მას შემდეგ, რაც წერილობით მიმართავს პარტიის წევრთა ერთი მესამედი. ისინი, ვინც ყრილობას ესწრებოდნენ ან არც არასოდეს ყოფილან ჩვენი პარტიის წევრები, ან გარიცხული იყვნენ რამდენიმე თვით ადრე. მით უმეტეს, გამგეობისთვის წერილობით არავის მიუმართავს. ყრილობა არალეგიტიმურად ჩატარდა, შესაბამისად, გადაწყვეტილებაც არალეგიტიმურია.

იუსტიციის სამინისტრო ბოლო წუთამდე გვარწმუნებდა, რომ ჩვენი ჩართვის გარეშე საკითხს არ განიხილავდა, შეისწავლიდა განცხადების კანონიერებას და ა. შ., თუმცა ეს არ გააკეთა. იუსტიციის სამინისტროში საერთოდ დაგვემალნენ და ჩვენს ზარებს არ უპასუხეს.

**— გამგეობის მხოლოდ ერთი წევრი დაუპირისპირდა ბატონ ზურაბს, თუ აქაც არის აზრის სხვადასხვაობა?**

— არა, არავითარი სხვა აზრი. ჩვენ ყველას ერთი განწყობა გვაქვს.

**— და მაინც, რა იქნება, შემდეგ?**

— ბატონ ზურაბს დაველოდოთ!

**პარტიის ყოფილი თუ არსებული თავმჯდომარე ხვალ ჩამოვა თბილისში და როგორც პრესცენტრმა გვითხრა, ამ საკითხზე ბრიფინგს გამართავს, ალბათ, საკუთარ ოფისში, რადგან პარტიის ოფისში წინა ბრიფინგებიც კი არ გამართეს. სხვათა შორის, ნატო ხოხიაშვილი იმუქრებოდა, რომ, როგორც კი ნოღაიდელს თავმჯდომარეობიდან გადააყენებდნენ, ოფისს თავად დაისაკუთრებდა. უფრო სწორად გაყიდდა და ამ ფულით დავალიანებას გაისტუმრებდა. ნოღაიდელის მხარდამჭერები ირწმუნებიან, რომ „პარტიის ოფისი ნაქირავები იყო და შესაბამისად, მას ვერავინ გაყიდის... მით უმეტეს ხოხიაშვილისნაირი ინტრიგანი". ოფისის გაყიდვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ნოღაიდელის შემცვლელი ძალიან სწრაფად იპოვნეს და „სამართლიანი საქართველოსთვის" მოძრაობას სერგო ჯავახაძე ჩაუყენეს სათავეში. ვნახოთ, როგორ დამთავრდება კონკურენტების ბრძოლა.**

თეა მოსია

## ალიან-ჩალიანი

### სააკაშვილი ბეინერს შეხვდა

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერ ჯონ ბეინერს შეხვდა.**

შეხვედრაზე მათ მოლაპარაკებებზე თავისუფლებისა და დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე საქართველოში რეფორმების გაგრძელების აუცილებლობებზე, თბილისის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

პრეზიდენტმა შეხვედრა სხვა კონგრესმენებთანაც გამართა. მიხეილ სააკაშვილი ამერიკაში რიჩარდ ჰოლბრუკის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობს.

### ბიჭვინთაში მოსკოვის პატრიარქატის საკულტო კომპლექსი შენდება

**ბიჭვინთაში „მოსკოვის პატრიარქატის საკულტო კომპლექსი შენდება", — ინფორმაციას ამის შესახებ რუსი მღვდელი იაკოვ კროტოვი ავრცელებს თავის სტატიაში, რომელიც რუსეთის პატრიარქის კირილის საქმიანობას ეხება, კერძოდ მის რასისტულ გამონათქვამებს. სტატიის სახელწოდებაა — „პატრიარქი რასისტულ სიყალბეს იმეორებს".**

„როგორც აღმოჩნდა, პრეზიდენტის საქმეთა სამმართველო ბიჭვინთაში „მოსკოვის საპატრიარქოს საკულტო კომპლექსს აშენებს", ამისათვის უკვე გაჩეხილია ნაკრძალის ადგილი ცნობილი ფიჭვებით. რა თქმა უნდა, პრეზიდენტის სამმართველო აცხადებს, რომ არც ერთი ფიჭვი მოჭრილი არ არის, თუმცა ამერიკულ საძიებო სისტემა „გუგლში" არსებული ფოტოები სულ სხვა რამეზე მეტყველებენ... მთავარი კი ის არის, რომ არავის ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ ამგვარი მშენებლობა შესაძლებელია", — წერს კროტოვი და კომენტარს რუსეთის პატრიარქის იმ განცხადებაზე აკეთებს, რომლის დროსაც კირილმა განაცხადა, რომ „მოსკოვში ჩადენილი დანაშაულის 40 % ჩამოსულების ჩადენილია".

„სასულიერო პირების წინაშე სიტყვით გამოსვლისას მოსკოვში 22 დეკემბერს პატრიარქმა სწორედ ეს სიტყვები თქვა. ამართლებს თუ არა მას ის, რომ ეს ციტატაა? პატრიარქმა მოსკოვის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი დაიმოწმა... არა, არ ამართლებს. ჩინოვნიკების სიმართლესაც რომ ლაპარაკობდნენ — ყველაფრის გამეორება საჭირო არ არის. პატრიარქი კირილი მშვენივრად ახერხებს მრავალი რამ არ შეიმჩნიოს და მრავალი რამის ციტირება არ მოახდინოს. მან მშვენიერი ნომენკლატურული სკოლა გაიარა. ხოლო თუკი მან გადაწყვიტა, რომ რაიმის ციტირება მოახდინოს — ესე იგი მან ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა", — წერს მღვდელი.

### აფხაზეთში რუსეთმა ფინანსური გაფლანგვა ვერ აღმოაჩინა

**რუსეთის ფედერაციის კონტროლის პალატამ სეპარატისტულ აფხაზეთში ჩატარებული შემოწმების შედეგად რუსეთის მიერ გამოყოფილი ფინანსური სახსრების გაფლანგვა ვერ აღმოაჩინა. განცხადება ამის შესახებ სეპარატისტულ აფხაზეთში მყოფმა რუსეთის კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სერგეი სტეპაშინმა სოხუმში მოწყობილ პრესკონფერენციაზე გააკეთა.**

მისივე თქმით, მრავალი ადამიანისათვის ეს შემოწმება მოულოდნელი იყო და ეს იყო პირველი შემოწმება ერთობლივი საქმიანობისა, რომელშიც რუსეთის კონტროლის პალატის წარმომადგენლები, აფხაზური ე.წ. პარლამენტის დეპუტატები და აფხაზური ოპოზიციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

### ზოგიერთ დევნილს ბინა საკუთრებაში გადაეცა

**თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე მცხოვრებმა დევნილებმა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა მიიღეს. საჯარო რეესტრიდან ამონაწერი მათ მინისტრმა კობა სუბელიანმა რაიონის გამგებელთან — რამაზ სულამანიძესთან ერთად გადასცა.**

აღნიშნულ მისამართზე, 4 ობიექტში (პედაგოგიური უნივერსიტეტის ყოფილი 3 კორპუსი და „მიონის" ყოფილი საბავშვო ბაღი) აფხაზეთიდან დევნილი 109 ოჯახი ცხოვრობს. მათ აღნიშნული საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე მიიღეს. დევნილებმა ფართის დაკანონების თხოვნით სამინისტროს მიმართეს. შესაბამისი პროცედურების დაცვით, გაკეთდა აზომვითი ნახაზები და დაიწყო ფართის საკუთრებაში გადაცემის პროცესი. დღეიდან ბელიაშვილის ქუჩაზე მცხოვრები დევნილები საკუთარ ჭერქვეშ იცხოვრებენ. აღნიშნულ ობიექტებში გაკეთებულია ელექტროენერგიის ინდივიდუალური გამრიცხველიანებაც.

დევნილების თქმით, ასეთი კარგი ახალი წელი არც ჰქონიათ.

— 17 წელია აქ ვცხოვრობთ და ასეთი კარგი ახალი წელი არ გვქონია. მინისტრი მობრძანდა, დაპირებისამებრ ჩვენი ბინები საკუთრებაში გადმოგვცა. საკუთრების მოწმობა თავად მოგვიტანა. ნამდვილად გვჯერა, რომ ეს ბინები ჩვენია, დღეიდან საკუთარი ჭერი გვაქვს. მინისტრი რამდენიმე თვის წინაც შეგვხვდა და გვითხრა ყველა პროცედურას გაივლით და ეს ბინები თქვენი იქნებაო. მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, ვისაც ამ კეთილ საქმეში წვლილი მიუძღვის. ბელიაშვილის ქუჩაზე ძალიან კარგი ახალი წელი თენდება, რადგანაც ამხელა უბანში ყველა ბინა დაკანონდა. ყველა დევნილმა გაიხარა, ვინც შიშის ქვეშ იყო, — აღნიშნა აფხაზეთიდან დევნილმა ნანა სურამელმა.

ჯი-ეიჩ-ენი

აფხაზეთი

# „სოხუმის მიერ თბილისისგან ზარალის მოთხოვნის რეალურ მექანიზმებს ვერ ვხედავ“




***სოხუმი თბილისისგან კომპენსაციის სახით 13 მილიარდ აშშ დოლარს ითხოვს. რამდენად რეალისტური და რამდენად რეალიზებადია სოხუმის მოთხოვნა, ამ თემაზე „ინტერპრესნიუსი“ კონფლიქტოლოგ მამუკა არეშიძეს ასაუბრა.***



**— ბატონო მამუკა, სოხუმის ხელისუფლება თბილისისგან ომში მიყენებული ზარალისთვის 13 მილიარდ აშშ დოლარს ითხოვს. რეალურად არსებობს თუ არა მექანიზმები, რომ აფხაზურმა მხარემ ქართულისგან კომპენსაცია მოთხოვოს?**

— კომპენსაციის მოთხოვნის რეალური მექანიზმების შექმნა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ნორმები დაუდგინდა, რომლებიც საერთაშორისო სასამართლოთი ისჯება. ასეთი საკითხებია – ეთნოწმენდა, გენოციდი, კულტურული მემკვიდრეობის ნგრევა და ასე შემდეგ. ერთადერთი, რაც ქართულ მხარეს ნაწილობრივ ესადაგება, კულტურული მემკვიდრეობის განადგურებასთან დაკავშირებული საკითხია. საუბარია სოხუმში არქივის შენობის დაწვაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებზე აფხაზური მხარის მიერ მოწვეული სერიოზული ექსპერტები მუშაობდნენ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სხვა შეფასება არავის გაუკეთებია.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რა შეფასება მიეცემა 1992-1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებს. თუ მომხდარს სამოქალაქო ომის კვალიფიკაცია მიეცემა, სულ სხვა სურათს ვღებულობთ, თუ ორ ქვეყანას, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი აფხაზეთში, ამ შემთხვევაში სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. ეთნიკური დაპირისპირება არ გამოდის, ვინაიდან თვითონ აფხაზებმა ქნეს იმდენი, რომ სოხუმი საერთაშორისო სამართლით ეთნიკური ნიშნით ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას ვერ ადასტურებენ. სხვა ერების წარმომადგენლებზე რომ არაფერი ვთქვათ, აფხაზურმა მხარემ ქართველებთან დაპირისპირებისათვის 16 ქართველს მიანიჭა აფხაზეთის გმირის წოდება. ამიტომ, მომხდარის ეთნიკური ნიშნით კვალიფიცირებაც გამოირიცხა.

საინტერესოა, თავად კომპენსაციის სახით 13 მილიარდის მოთხოვნა. აფხაზებს რომ ძალიან მძიმე ეკონომიკური, მორალური და ადამიანური ზარალი მიადგათ, ამაზე საუბარი არ არის, მაგრამ ეს ზარალი ორივე მხარის ზარალია. რა ქართველები არ დაზარალდნენ, თუ აფხაზეთში ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას არ მიადგა ზიანი? მე საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ სოხუმის მიერ თბილისისაგან ზარალის მოთხოვნის რეალურ მექანიზმებს ვერ ვხედავ. მე სხვა რამის საფუძველს ვხედავ. მაგალითად, ის ნაბიჯები, რომლებიც 1992-1993 წლებში გადადგმული იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, უბიძგეს მას, ხაფანგი დაუგეს თუ კიდევ სხვა რამ, იყო აბსოლუტურად მიუღებელი და გაუმართლებელი. აფხაზური მხარის ნაბიჯებზე აღარაფერს ვამბობ. უზარმაზარი ტრაგედია მიადგა როგორც ქართველ, ისე აფხაზ ხალხს და იმ კუთხის ყველა ეროვნების ადამიანს. ამის გათვალისწინებით, შესაბამისი მორალური შეფასება ქართული მხარის მოქმედებაზე ქართული ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან უნდა მიეცეს.

**— თუ არ ვცდები, 1997 წელს საქართველოს პარლამენტის კომისიამ აფხაზეთში 1992-1993 წლებში საქართველოსთვის მიყენებული ზარალის ოდენობად 10 მილიარდი აშშ დოლარი დაადგინა.**

**მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთში ყოფნა იურიდიულად ცალმხრივად დააკანონა, შეუძლია თუ არა ქართულ მხარეს რუსეთის წინაშე კომპენსაციის საკითხის დაყენება?**

— რასაკვირველია, შეუძლია, მაგრამ აქაც საერთაშორისო სამართლის ნორმებმა აქტიურად უნდა იმუშაონ. აფხაზეთში საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას რუსეთის მონაწილეობის დამადასტურებელი ფაქტები არსებობს. მაგრამ, თუ ჩვენ ეს ფაქტები საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად გვაქვს სისტემატიზებული და სათანადო დონეზე დადასტურებული, რა თქმა უნდა, შეგვიძლია. რამდენადაც ვიცი, ქართულ მხარეს აქვს აფხაზეთის ომში ფსკოვის დივიზიის მონაწილეობის მასალები.

გარდა ამისა, საინტერესოა გარკვეული გვაქვს თუ არა, რა როლს ასრულებდნენ აფხაზეთში რუსი გენერლები – კოლესნიკოვი, ჩინდაროვი, ვორობიოვი, როგორ შემოდიოდნენ რუსეთის ტერიტორიიდან აფხაზეთში დაქირავებულები, როგორ ხდებოდა კრასნოდარის, სტავროპოლისა და რუსეთის სხვა ოლქების სამხედრო კომისარიატებში სამხედრო სპეციალისტების, ტანკისტებისა და მეკავშირეებისა და სხვათა მობილიზება. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა იმავე ყაბარდო-ბალყარეთის შინაგან საქმეთა მინისტრის შოგენოვის ჩვენება იმის შესახებ, რომ არა ერთხელ დააკავა მის ტერიტორიაზე აფხაზეთში მიმავალი ჩეჩენი „ბოევიკები“, მათ შორის შამილ ბასაევის ჯგუფი, მაგრამ მას ბასაევი და მისი ჯგუფი ორჯერ მოსკოვიდან ზარის შემდეგ გაათავისუფლებინეს. თუ ჩვენ ეს საბუთები მოწესრიგებული გვაქვს (წესით ისინი პროკურატურას მოწესრიგებული უნდა ჰქონდეს), ამ შემთხვევაში რასაკვირველია, გვაქვს უფლება, კომპენსაციისთვის მივმართოთ რუსეთს. ჩვენ რუსეთს კომპენსაციის მიღებისთვის შეგვიძლია მივმართოთ თუნდაც სოხუმში საავიაციო დარტყმის განხორციელების გამო. ასევე, შეგვიძლია მივმართოთ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მოსახლეობისთვის კომპენსაციის გამოყოფის მოთხოვნით.

**— ინფორმაციაში, რომელშიც საუბარია, რომ სოხუმი თბილისისგან კომპენსაციას ითხოვს, აღნიშნულია შემდეგიც – ქონებრივ დავებთან დაკავშირებით რუსულ-აფხაზური კომისია ეროვნებით ქართველი მოქალაქეების განცხადებების განხილვას არ აპირებს და ამაზე რუსულმა და აფხაზურმა მხარეებმა პრინციპულ შეთანხმებას მიაღწიეს. რას შეიძლება ნიშნავდეს სოხუმსა და მოსკოვს შორის ამ საკითხში პოზიციების თანხვედრა?**

— ეს, რა თქმა უნდა, ეთნიკური დისკრიმინაციის გამოვლინებაა. ამ სიტუაციაში უთავმოყვარეოდ რუსეთი იქცევა, რადგან აქ საუბარია არა საქართველოს მოქალაქე ეროვნებით ქართველ მოქალაქეებზე, არამედ, ეროვნებით ქართველ რუსეთის მოქალაქეებზე. პრაქტიკულად, რუსეთი აფხაზეთში თავისივე მოქალაქეების ქონებრივი უფლებების დარღვევაზე დათანხმდა. ის, რომ მორალური თვალსაზრისით აფხაზებისთვის რთული იქნება რუსეთის მოქალაქე ქართველების მიღებაც კი, გასაგებია, მაგრამ იმ ცივილიზებული სამყაროსთვის, რომლისკენაც აფხაზეთი მიილტვის, აბსოლუტურად გაუგებარი და იმავე ცივილიზებული სამაყაროს მასხრად აგდებაა.

ზოგ შემთხვევაში დასავლეთი გაგებით ეკიდება აფხაზების დასავლეთისკენ ლტოლვას და ცდილობს მათ კარები შეუღოს, მაგრამ როდესაც დასავლეთ-აფხაზეთის თანამშრომლობის ფორმატზეა საუბარი, დასავლელი პოლიტიკოსები ხაზს უსვამენ იმ დისკრიმინაციულ კანონმდებლობას, რომელიც აფხაზეთში მოქმედებს. კონსტიტუციის მუხლებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებიდან კარგად ჩანს, რომ აფხაზეთში აფხაზი არის ყველაფერი, ხოლო ყველა დანარჩენი ერები მეორეხარისხოვანი არიან.

**— გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ თბილისისგან კომპენსაციის მიღების შემდეგ სოხუმი იმ მოქალაქეებს, რომლებსაც აფხაზეთში ქონება ჰქონდათ, კომპენსაციას გასცემენ. საუბარი არ არის აფხაზეთიდან გამოსულ მოქალაქეთათვის ქონების დაბრუნებაზე. ამის შეფასება როგორ შეიძლება?**

— ამით სოხუმს ასეთი რამე გამოსდის – ჩვენ ვაღიარებთ, რომ ქართველებმა აფხაზეთში უძრავი ქონება დაკარგეს, მაგრამ არ ვაღიარებთ, რომ ესა თუ ის ქონება დაკარგეს. ამგვარი რამ თავისთვის სირცხვილის მოწმენდაა. აფხაზურ ხელისუფლებას 4 ათასი ეროვნებით რუსი მოქალაქის ქონებრივი საკითხი ვერ გადაუწყვეტია და ყველასთვის გასაგებია, რომ ქართველების ქონებრივი საკითხი ყოველთვის ჰაერში გამოკიდებული დარჩება. გავრცელებულ ინფორმაციაში ქართველებთან დაკავშირებით შეტანილი თეზისი აფხაზური მხარისთვის სირცხვილის მოწმენდას უკავშირდება და თანაც არც რუსები უნდა იყვნენ ნაწყენები, ვინაიდან არაქართველი რუსეთის მოქალაქეების საკითხის განხილვა, პრაქტიკულად, დაწყებულია. თუმცა, ჯერ მხოლოდ 44 მოქალაქის საქმე განიხილეს და საბოლოოდ მხოლოდ 6-ის საქმეზეა გაცემული დადებითი პასუხი, ანუ მათ აფხაზეთში უძრავი ქონება შეუნარჩუნდათ.

**კობა ბენდელიანი**

ბიზნესმენი

# პოლიტიკურ პარტნიორობას „ქრისტიან-დემოკრატები“ და „ქართული პარტია“ სთავაზობენ

**რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენ ლევან ვასაძეს პოლიტიკურ პარტნიორობას „ქრისტიან-დემოკრატები“ და „ქართული პარტია“ სთავაზობენ.**

ამის შესახებ „პირველს“ ინფორმირებულმა წყარომ აცნობა.

როგორც „პირველს“ „ქართულ პარტიაში“ განუცხადეს, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და უფრო მეტიც, „მორიგი სისულელეა“. თუმცა ფაქტია, რომ პარტიის მხარდამჭერები ვასაძეს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ დიდი ხანია, „აპიარებენ“ და საქართველოს მომავალ პრეზიდენტად ასახელებენ.

აღნიშნულ ინფორმაციას არც „ქრისტიან-დემოკრატებში“ ადასტურებენ. როგორც „პირველს“ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა ლალიაშვილმა განუცხადა, მათ ამ საკითხზე ვასაძესთან საუბარი არ ჰქონიათ.

„ჩვენს პარტიაში გაწევრებაზე ან სხვა ფორმით პარტნიორობაზე ბატონ ლევანთან საუბარი არ გვქონია“, – ამტკიცებს ლალიაშვილი.

„პირველის“ წყაროს ცნობით კი, „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი გიორგი თარგამაძე და წარმატებული ბიზნესმენი ლევან ვასაძე ოჯახებით მეგობრობენ.

პოლიტიკურ და საზოგადოებრივ კულუარებში ვასაძის პერსონის ირგვლივ მითქმა-მოთქმა, მის ქართულ პოლიტიკაში შესაძლო შემოსვლისა და შორსმიმავალი პოლიტიკური გეგმების შესახებ აქტიური საუბრები რამდენიმე თვის წინათ დაიწყო. კულუარული ინფორმაციით, ვასაძეს გააქტიურების შემთხვევაში საპატრიარქოს მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს.

„პირველის“ წყაროს ცნობით, ლევან ვასაძის ერთ-ერთ პროექტს „პატრიარქი“ ჰქვია და იგი საპატრიარქოს პროექტების დაფინანსებას გულისხმობს. ამასთან, სწორედ ლევან ვასაძემ დააფინანსა ბაგრატოვანთა სამეფო გვარის ქორწილი, რომელიც პატრიარქის ინიციატივით განხორციელდა.

დღეს პრესაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით კი, ვასაძემ, რომელიც რუსეთის მოქალაქეა, საქართველოს პრეზიდენტს მეორე - საქართველოს მოქალაქეობა სთხოვა, რაზეც უარი მიიღო.



კანონის მიხედვით, მსურველი პირი საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების განცხადებით საქართველოს პრეზიდენტს პირადად, ან საკონსულო დაწესებულების მეშვეობით მიმართავს.

რა შემთხვევაში შეიძლება ეთქვას ამა თუ იმ პირს უარი საქართველოს მოქალაქეობაზე, „პირველს“ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში განუმარტეს.

როგორც კომიტეტში აცხადებენ, კანონმდებლობით, ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების პრეროგატივა მხოლოდ პრეზიდენტს აქვს. ამასთან, ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებისას მკაცრად რეგლამენტირებული კრიტერიუმები არ არსებობს, ზოგადად კი, გადაწყვეტილების მიღებისას პრეზიდენტი სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესებით, პოლიტიკური მიზანშეწონილობით, ჰუმანიტარული და მორალური პრინციპებით ხელმძღვანელობს. შესაბამისად, ორმაგ მოქალაქეობაზე უარის თქმა შესაძლოა, სწორედ აღნიშნულ პრინციპებთან შეუსაბამობით იყოს განპირობებული, თუმცა ამ მხრივ მკაცრი ჩარჩო არ არსებობს. ამასთან, ორმაგ მოქალაქეობაზე უარის თქმის გასაჩივრება რაიმე სამართლებრივ პროცედურას ვერ გამოიწვევს.

აღსანიშნავია, რომ ლევან ვასაძეს ქართულ პოლიტიკასთან შეხება „ვარდების რევოლუციის“ დროიდან აქვს. როგორც ცნობილია, თავის დროზე ვასაძეს რევოლუციურ ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და აფინანსებდა კიდეც, მაგრამ ეს „სიამტკბილობა“ ზურაბ ჟვანიას უცნაური გარდაცვალების შემდეგ დასრულდა და ვასაძემ კულისებში გადაინაცვლა.

ლევან ვასაძე 1970 წლის 20 დეკემბერს თბილისში დაიბადა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოფიზიკის ფაკულტეტი და ატლანტის (აშშ ემორის ბიზნესის სასწავლებელი მაგისტრის ხარისხით.

წლების განმავლობაში ვასაძე ადმინისტრატორად მუშაობდა. იგი SystemCorporation-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი იყო, შემდგომ კი – რუსეთის წამყვანი სადაზღვევო კომპანია ღოსნო-ს აღმასრულებელი დირექტორი.

2006 წელს, რუსეთის აღმასრულებელ დირექტორთა ტოპ-ასეულში, კრემლში იგი RosBusinessConsulting-ის მიერ წლის პიროვნებად იქნა აღიარებული.

ამჟამად ვასაძე კომპანიას Prometheus Capital Partners ხელმძღვანელობს და ამავდროულად აფინანსებს სხვადასხვა პროექტებს რელიგიის, განათლების და სპორტის სფეროებში.

ნახევარი განაკვეთით ვასაძე საკუთარი უძრავი ქონების, ფინანსური მომსახურების და შამპანურის წარმოების მართვითაა დაკავებული.

ლევან ვასაძე რაგბის ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა და სპორტის მიმართ დღემდე დიდი ინტერესი აქვს.

რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი მილიონერების სიაშია და არსებული ინფორმაციით, 500 მილიონს ფლობს.

პერსპექტივა

# საგეგმო ეკონომიკის აჩრდილი



**მსოფლიო ეკონომიკა იმდენადაა „მიბმული“ ნავთობზე, რომ მას „მრეწველობის სისხლიც“ კი შეარქვეს. მასზე ფასების მერყეობას მთავრობების და, ყოფილა შემთხვევები, სახელმწიფო წყობის შეცვლაც კი მოჰყოლია. აქედან გამომდინარე, ნავთობის დეფიციტს გლობალური კრიზისის გამოწვევა შეუძლია. „მრეწველობის სისხლის“ დეფიციტი, რომელსაც „შავ ოქროსაც“ ეძახიან, მსოფლიო ეკონომიკაზე დამანგრეველ ზეგავლენას მოახდენს.**

ყველაფერი ეს, ცხადია, თითოეული სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სფეროს განეკუთვნება და, ამდენად, არც არის გასაკვირი, რომ ნავთობთან დაკავშირებული საკითხების გარკვევასა და ეკონომიკის პროგნოზირებაში უკვე რახანია სამხედროებიც ჩაერთვნენ. კერძოდ, გერმანიის ბუნდესვერის ტრანსფორმაციის ცენტრის ხელმძღვანელობამ შიდა გამოკვლევა ჩაატარა, რომელიც თავდაპირველად გასაიდუმლოებული იყო და მისი შედეგების გახმაურებას არ აპირებდნენ. თუმცა შემდგომ უმაღლესმა სარდლობამ აზრი შეიცვალა და კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომელთა თანახმად **მსოფლიოს წამყვან ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში ამ წიაღისეულის მოპოვების პიკი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში იქნება მიღწეული.** ამის შემდგომ განვითარდება გლობალური ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენები, რომელთა შედეგები მთელი მსოფლიოსთვის მეტად მძიმე იქნება. ამას, ეჭვი არ არის, მსოფლიო ბაზარზე ნედლი ნავთობის ფასის გაუნელებელი ზრდა მოჰყვება, რაც აუცილებლად გამოიწვევს მისგან ნაწარმოები ბენზინის, დიზელის საწვავის, ნავთის, მაზუთის, საპოხი მასალების და ა.შ. აუცილებელ გაძვირებას, რასაც არც საქართველოს ნავთობპროდუქტების იმპორტიორები უარყოფენ, თუმცა კი აცხადებენ, რომ ბენზინისა და დიზელის საწვავის ფასი წლეულს კატასტროფულად მაინც არ გაიზრდება.

შესაბამისად, საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ამ სახეობის ენერგოშემცველთა უცაბედ გაძვირებას, რასაც აუცილებლად მოჰყვება, პირველ ყოვლისა, სასურსათო საქონელზე ფასების მკვეთრი ზრდა, არ უნდა ველოდოთ, თუმცა წინა წლების პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ, ამის იმედი მაინც ნაკლებად უნდა გვქონდეს.

ექსპერტები აცხადებენ, და ამის მიხვედრას ისედაც დიდი ტვინის ჭყლეტა არ უნდა, რომ ნედლი ნავთობის მარაგების შემცირების შედეგად, სხვებზე მეტად მომგებიან მდგომარეობაში მომპოვებელი, ექსპორტიორი ქვეყნები – ახლო აღმოსავლეთის საამიროები, კუვეიტი, სამხრეთამერიკული ვენესუელა, რუსეთი და სხვები აღმოჩნდებიან, რომლებიც იმპორტიორებს თავიანთ პირობებს უკარნახებენ.

ახალი პირობები, ბუნებრივია, საბაზრო ეკონომიკაში სადღეისოდ მოქმედ ურთიერთობების მექანიზმებს დაარღვევს და, ზოგიერთი ვარაუდით, **შესაძლოა საგეგმო ეკონომიკაზე გადასვლის საჭიროება წარმოშვას.**

ეს, თავის მხრივ, ნავთობის მომპოვებელ ქვეყნებს იმპორტიორებზე გაცილებით კომფორტულ პოლიტიკურ ვითარებასაც შეუქმნის, რადგან ამ უკანასკნელებზე თავისუფალი მანევრირების, ხელსაყრელ ალიანსთა შექმნის უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს, რაც, თავის მხრივ, საგრძნობლად შეასუსტებს სადღეისოდ მსოფლიო ლიდერი ქვეყნების წამყვან პოზიციებს.

ამ მხრივ საგულისხმოა მსოფლიოში ნავთობის მარაგების მიხედვით ლიდერთა სია. პირველ ადგილზეა **საუდის არაბეთი,** რომლის მთლიანად დაზვერილი ნედლეულის კუთვნილი 21 პროცენტი, მოპოვების ინტენსივობის გათვალისწინებით, მას კიდევ 66 წელს ეყოფა; **ირანი** (შესაბამისად, 10,9 პროცენტი და 86 წელიწადი); **ერაყი** (9,1 პროცენტი და 129 წელიწადი); **კუვეიტი** (8,1 პროცენტი და 99 წელიწადი); **ვენესუელა** (7,8 პროცენტი და 105 წელიწადი; **არაბეთის გაერთიანებული საამიროები** (7,8 პროცენტი და 89 წელიწადი); **რუსეთი** (6,3 პროცენტი და 21 წელიწადი. გარდა ამისა, დღევანდელ ლიდერ ქვეყნებს საფრთხეს ექსტრემისტებიც შეუქმნიან, ამან კი, შესაძლოა, ეკონომიკურთან ერთად გლობალური პოლიტიკური კრიზისიც გამოიწვიოს.

თუმცა, ყველაფერი ასე მუქ ფერებში მაინცდამაინც წლეულს არ უნდა დავინახოთ. ნავთობის ნაკლებობას განსაკუთრებული სიმძაფრით მსოფლიო მაინც დაახლოებით 20-30 წელიწადში იგრძნობს, რის საშიშროებაზე როგორც უცხოელი, ისე ქართველი ექსპერტები აცხადებენ. შედეგად, მსოფლიო მოწინავე ქვეყნებში უკვე დაიწყეს მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების შესასუსტებლად სათანადო მომზადება. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ ისიც, რომ ამაზე საქართველოს მთავრობაში დაფიქრდნენ და, არსებული მონაცემებით, უახლოეს მომავალში მისი კუთვნილი ავტოპარკი ამერიკული წარმოების ელექტრომობილებით განახლდება, რის შესახებ „სრ“ ცოტა ხნის წინათ წერდა კიდეც. მაგრამ ასევე აუცილებელია შევახსენოთ, პატივცემულო მკითხველო, რომ იმ ელექტრომობილების ექსპლოატაციის მიზანშეწონილება, რომელთა შეძენაზე საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებებს კარგა ხანია აწარმოებს, ეჭვს თავად ამერიკელ მწარმოებლებში იწვევს. მეორე მომენტი ის არის, რომ ამოდენა გაჭირვებისა და, მასთან ერთად, გაუთავებელი ტაშ-ფანდურის ფონზე, რაც ქვეყანას ძალიან ძვირი უჯდება, რამდენად „მოუხდება“ ამ სადღეისოდ მეტად ძვირადღირებული ავტომანქანების შეძენა ქვეყნის ბიუჯეტს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

ოთარ ტურაზელიძე

## ინფორმაცია თემაში

*შარშან რუსეთში ნავთობის მოპოვების რეკორდი დაამყარეს. იქაური ექსპერტები ამტკიცებენ, რომ მართალია, „შავი ოქროს“ მარაგი კიდევ 20 წელს ეყოფა, მაგრამ არსებობს ნავთობის უზარმაზარი მარაგები არქტიკის შელფზე, აღმოსავლეთ ციმბირში. ამასთან, არსებობს ნავთობის მოპოვების შემცირების საშიშროება, ვინაიდან მენავთობეები ახალი საბადოების დაზვერვაში სათანადო სახსრებს არ აბანდებენ. ასევე უსახსრობის გამო არ ხორციელდება ძველი საბადოებიდან, რომლებიც 60 პროცენტითაა ამოწურული, ნავთობის ამოღების ახალი ტექნოლოგიების შემუშავება, რის შედეგად ზოგიერთი ჭაბურღილიდან ნედლეულის მოპოვება წამგებიანიც კია!*

ეროვნული ვალუტა

# ლარის გაუფასურების ტენდენცია გაგრძელდება?

**ახალი წლიდან საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსმა დოლართან მიმართებაში რყევა დაიწყო. თუ 2010 წლის ბოლო დღეებში 1 აშშ დოლარი 1.75-1.77 ლარის ფარგლებში მერყეობდა, დღეისათვის ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1.7927 ლარით განისაზღვრება.**

კურსის რყევებს ბაზარზე სამომხმარებლო ფასების მასშტაბური ზრდა ჯერ არ გამოუწვევია, თუმცა შესაბამისი ტენდენცია უკვე შეინიშნება. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში შაქარი ისევ გაძვირდა. დღეისათვის სუპერ-მარკეტებში ერთი კილოგრამი დაფასოებული შაქრის ფასი – 2.35-2.40 ლარის ფარგლებში, ასაწონის კი 2.25-2.30 ლარის ფარგლებში მერყეობს.

რამდენიმე თეთრით გაძვირდა ხახვი და კარტოფილიც. თუ ადრე 1 კგ ხახვი 1.30-1.50 ღირდა, დღეს მისი ფასი 1.70-2.00 ლარია. დაახლოებით 15-20 თეთრით გაძვირდა კარტოფილიც და 1 კგ-ის ფასი 1.40-1.50 ლარის ფარგლებში მერყეობს.

„პირველი“ დაინტერესდა, რამ გამოიწვია წლის დასაწყისში ეროვნული ვალუტის რყევა და როდემდე გაგრძელდება ლარის გაუფასურების ტენდენცია.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძე მოცემულ პერიოდში კურსის რყევაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და აცხადებს, რომ დოლარის მიმართ ლარის კურსის რამდენიმე პუნქტით დაცემა წლის დასაწყისში ბუნებრივია.




**„ზოგადად, წლის ბოლოს კომპანიების უმეტესობა სახელმწიფოს მიმართ საგადასახადო ვალდებულებებს იხდის და თანამშრომლებისთვის ხელფასებს გასცემს, ამიტომ წლის დასასრულისკენ ლარზე მოთხოვნა ყოველთვის იზრდება, რაც მის გამყარებას უწყობს ხელს. უკვე ახალი წლისკენ კი საპირისპირო ტენდენცია იჩენს თავს და ხალხი ფულის დოლარში შენახვას იწყებს. ამდენად, ლარის კურსის რყევა ბუნებრივი პროცესია. მთავარია, ამას ნახტომისებრი ხასიათი არ მიეცეს“,** – განუცხადა „პირველს“ კალანდაძემ.

ამასთან, ექსპერტი იმასაც აღნიშნავს, რომ 2010 წლის განმავლობაში ლარის კურსის სიმყარე არა ეკონომიკური მდგრადობით, არამედ ეროვნული ბანკის მიერ გარკვეულწილად ხელოვნურად იყო შენარჩუნებული.

**„ლარის კურსი გასული წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის ბერკეტებით იყო გამყარებული და არა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებით. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული ეკონომიკა კვლავ უცხოურ ეკონომიკაზეა დამოკიდებული. ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ საქართველოში პირველადი მოხმარების პროდუქტების უმრავლესობა იმპორტირებულია, ან უცხოური ნედლეულითაა დამზადებული. ამდენად, იმის ილუზია, რომ 2011 წლის განმავლობაში რყევები ვერ იქნება, არ უნდა შევიქმნათ. თუმცა ვფიქრობ, პანიკის საფუძველი ნამდვილად არ გვაქვს“,** – განმარტა ექსპერტმა.

რაც შეეხება იმას, რომ დოლართან მიმართებაში ლარის კურსის დაცემა მომენტალურად ფასებზე აისახება, კალანდაძე მიიჩნევს, რომ ეს ტენდენციაც ქვეყანაში დამოუკიდებელი ეკონომიკის არარსებობის გამოვლინებაა.

**„ლარის კურსის ცვლილება ბიზნესმენებში ნეგატიურ მოლოდინს იწვევს და იმ ვარაუდით, რომ ხვალ კურსი უფრო დაეცემა, საკუთარი მოგების მარჟას ზრდიან. მეწარმეების „დაშინებულობის“ უმთავრესი მიზეზი უცხოურ ეკონომიკაზე დამოკიდებულებაა“,** – ასკვნის ექსპერტი.

კალანდაძის მოსაზრებებს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე იზიარებს და აცხადებს, რომ 2010 წლის ბოლო კვარტალში ლარის გამყარება ეროვნული ბანკის აქტიურობით იყო განპირობებული.

**„გასული წლის მეოთხე კვარტალში ლარის გამყარება ეროვნული ბანკის აქტიურობით იყო განპირობებული. საქართველო მაღალი სავაჭრო დეფიციტის მქონე ქვეყანაა და ეროვნული ბანკი ყველა არსებული ბერკეტის გამოყენებას ცდილობდა, რათა საკუთარი ამოცანა – კურსის სიმყარე და ფასების სტაბილურობა შეენარჩუნებინა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ტრადიციულად, წლის ბოლოსთვის ლარზე მოთხოვნა იზრდება, წლის დასაწყისში კი საპირისპირო ტენდენციაა. სადამდე გაგრძელდება ეს პროცესი, ამის პროგნოზირება ნაადრევია, თუმცა ვფიქრობ, ამ ეტაპზე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1.80 ლარის ფარგლებში იმერყევებს“,** – განუცხადა „პირველს“ კოვზანაძემ.

საქართველოს ეროვნულ ბანკში კი ლარის კურსის რყევაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ და აცხადებენ, რომ საშუალო და გრძელვადიან პერიოდში კურსი სტაბილური იქნება.

**„მოკლევადიან პერიოდში რყევები როგორც გაუფასურების, ისე გამყარების მიმართულებით დაფიქსირდება, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში კი ეროვნული ვალუტის კურსი სტაბილური იქნება“,** – განუცხადეს „პირველს“ ეროვნულ ბანკში.

თელარა გელანტია

## ინფორმაცია

### დიზელის ფასმა მოიმატა

**საცალო ქსელში დიზელის ფასი 5 თეთრით გაიზარდა. დიზელის ფასის ზრდას კომპანიები საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობ-პროდუქტებს ფასის მატებას უკავშირებენ.**

**კომპანია „ლუკოილში“ განმარტავენ, რომ კომპანიის საცალო ქსელში გაძვირდა მხოლოდ „Euro disel“-ის ფასი და ის დღეიდან 2,10 ლარი ღირს. ამ დროისათვის ბენზინის ფასი უცვლელი რჩება.**

### რურუას აზრით საახალწლო ღონისძიებებზე ფული მომჭირნედ დაუხარჯავთ

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუა საახალწლო ღინისძიებებზე დახარჯული თანხის ოდენობას არ აზუსტებს. თუმცა აცხადებს, რომ ყველაფერი „ზომიერების ფარგლებში“ მოხდა.**

**– მობრძანდით და ამ საკითხზე პასუხს სამინისტროში გაგცემთ. ისეთი არაფერი დახარჯულა, რაც არ შეგვეძლო, რომ გადაგვეხადა. ყველაფერი იყო ზომიერების ფარგლებში, – განუმარტა რურუამ ჟურნალისტებს აღნიშნულზე კომენტირებისას.**

ჯი-ეიჩ-ენი

გულის ბუხარი

# მიშამ „ვირი ტაჭკა“ რატომ დაგვიწუნა?

## რატომ ვართ გმირები და რას არ უნდა ვურიგდებოდეთ?

**სალამ-ქალამი და საახალწლო მილოცვა რომ მოითავა, ეგრევე მაჯახა: მიშამ ვირი ტაჭკა რად დაგვიწუნა, წიხლი რად გვიკრაო.**

**თან კითხვა გამიკვირდა და თან ისიც გამიხარდა, დიდი ხნის უნახავ მეგობარს რომ შევხვდი. არადა, უნდა მეკითხა, სად დაიკარგე-მეთქი.**

იმ დღესაც ჩვეულებრივ გამოვედი სასეირნოდ. ადრე თუ ამ ქუჩის თავიდან ბოლომდე გავლას ორ საათს მაინც ვანდომებდი, ახლა ნახევარ საათში ეგრევე ჩავხლიწინდები. მარტო იმიტომ კი არა, რომ ყოველ დილას ექვს საათზე იალლუჯს შემოვურბენ, არამედ, გზად იმდენი ნაცნობი, მეგობარი, ახლობელი მხვდებოდა წინათ, იმდენი სითბო და მონატრება გვქონდა, რომ...

ახლა კი, ლამის 8 ათეული წელი რომ მოვიგდე ზურგზე, ჩემი თაობელები, ბევრი ახალგაზრდაც კი, ამ ხელისუფლების უგუნურობით, შიმშილისა და სიდუხჭირის გამო, ძალზე ბევრი ნაადრევად გაემგზავრა ზეციურ საქართველოში, ზოგი უცხოეთში გადაიხვეწა. ზოგიც მიხოსავით სოფლად გადავარდა. აი, ჩემი მიხეილი თავის მშობლიურ სიღნაღში წასულა, როგორც მითხრა.

— სად მიშა და სად „ვირი ტაჭკა“-მეთქი, — მწარე იუმორი კი აქვს, მაგრამ ერთბაშად ვერ მივუხვდი.

— კაცო, თვითმფრინავით რომ დაგრიალებს? დაგრიალებს! თვითონ ხომ მართავდა? მართავდა! მერე მანქანას ხომ მიაჭენებდა თავის დაგებულ ავტობანზე? აგე, კახეთში ტრაქტორზედაც ხომ იჯდა? მერე ბათუმში ველოსიპედს დააქროლებდა? აი, ჩვენი „ვირი ტაჭკა“ რატომ დაგვიწუნა? ერთხელ მაინც რად არ მოსინჯა? — როგორც იქნა, გამარკვია საქმის ვითარებაში.

— ცხენზე ამხედრებული პრეზიდენტი თუ გინახავთ? — ახლა მე შევუბრუნე კითხვა, — ჰოდა, ჯერ ცხენით გავლილ-გამოვლილს რომ ნახავ, მერე გულს არც კახელებს დაგწყვეტთ.

— შენც კაი ვინმე ხარო, — თავისებურად ჩაიხვიხვინა. თითქმის ტოლები ვართ. ბიჭები ერთად მოვედით მეტალურგიაში. მაშინ რუსთავს სიჭაბუკის ქალაქი ერქვა. ახლა ახალგაზრდას თუ შეხვდებით, ან მერიაში მსახურობს, ან პოლიციაში, ან საერთოდ უმუშევარია. დილიდან დაღამებამდე სადმე მიმყუდროებულში ლოთობენ ძელსკამებზე.

ამასობაში მიხეილმა ჯიბიდან რაღაც ფურცელი ამოიღო, იქიდან გაზეთის ნაჭერი ამოარჩია, გაშალა და ხუთი მოცეკვავე სტრიპტიზიორი გოგონას სურათი თვალებზე ამაფარა.

— ეს რა არის, ამ ხნის კაცი ამ სურათს რომ დაატარებ? — შევცბი.

— მინისტრი კია, მაგრამ ლამაზი ქალია. აბა, ქალი რომ არ იყოს, მიშა მინისტრად წამოჭიმავდა? ასეთი ხალხი რომაა მთავრობაში, იმიტომ მომისროლეს მეც სოფელში, თორემ მექანიკოს კაცს, ასამდე გამოგონების ავტორს მიწის ჩიჩქნა რატომ უნდა დამჭირვებოდა?

— მერე სოფელი ცუდია თუ?! ისიც კახეთში!

— მერე სადაა სოფელი, სახლები კი დგას ორ და სამსართულიანები, მაგრამ თითქმის ყველა დაცარიელებულია. სახნავ-სათესი მიწებიც უპატრონოდაა. ტრაქტორი რომ იშოვო, სალიარკას ცეცხლის ფასი უკიდია. ისე, მიშა რაც თავის გაფრენაში საწვავს ხარჯავს, მთელ კახეთს გადახნავდა, მაგრამ მას ხომ ჩვენი გადაჯიშება უნდა. მერე ამ სახლებში ბურებს შეასახლებენ... აბა ეგ საქმეა, ჩემი ნაბოლარა ბიჭი, უმაღლესი განათლების მქონე, მტვირთავადაც ვერ მომიწყვია ვერსად და კომპიუტერთან ჯდომით გამოლაყდა?

— მეც მაგ დღეში ვარ, — სიტყვა ვერ დავასრულე, ჩვენსკენ მომავალ ნაცნობს, ზურაბ მიხაილოვიჩს მოვკარი თვალი. სხვადასხვა დროს წარმოებაში მუშაობდა, შემდეგ პარტიული მუშაკიც იყო. ახლა იგი, ოთხმოცდაათლარიანი პენსიონერი, მწარე მიშისტია. რომ ჰკითხო, ამ ხელისუფლების რა მოგწონსო, ეგრევე მოგახლის, გზები რომ გაიყვანესო (არადა, იმ გზებზე არც მას და არც მის შვილებს ჯერ არ გაუვლიათძ, შუქი გვაქვს და გაზიო (იმ შუქსა და გაზში ცეცხლის ფასს რომ გვახდევინებენ, არც დაფიქრებულაძ. მეგონა, მოგვესალმებოდა, მაგრამ თავი მიაბრუნა და ნაბიჯს აუჩქარა, რომ გაგვრიდებოდა.

— რა იყო, ზურაბ, რას გვემდური, შობა-ახალი წელი არ უნდა მოგვილოცო? — მივაძახე. არადა, მიხეილსაც კარგად იცნობს.

შეცბა, შემოტრიალდა, მოვიდა, მოგვილოცა, უფრო მიხეილს მოეფერა.

— ბიჭო, მგონი იმ მოშიმშილე ვეტერანებში შენი ბიძაშვილიც იყო. მაგარი ბიჭია, აფხაზეთშიც იბრძოდა და ცხინვალშიც. მაინც რა ულმერთოდ დაარბიეს! — ეგრევე მივახალე.

— ეს რა უბედურება დაატრიალეს ამ ახალ წელს, ეგეთი რამე არ მსმენია, ნაომარ ვაჟკაცებს მტერიც კი არ მოექცეოდა ასე! — შეიცხადა მიხეილმაც.

დაბნეულმა ზურამ ერთი კი შემოგვხედა, თავი ჩაღუნა და ეგრევე გაგვშორდა.

მიხეილი, აბა, რა კახელი კაცი იქნებოდა, სხვანაირად მოქცეულიყო — მომხვია ხელი და თავისი სახლისკენ გამაქანა. სახელდახელოდ კაი გემრიელი სუფრაც გაიშალა, ბევრი კარგიც და ავიც ვთქვით. აი, მეოთხე თუ მეხუთე ჭიქა სანახევროდ გაავსო და ახალგაზრდობაში რომ გვჩვეოდა, — ამით მტრები ვახსენოთ, შინაური და გარეული მტრების დედაცაო...

**გივი ჯახუა**

*P. S. თურმე წინ კიდევ ერთი შეხვედრა მელოდა. ამჯერად ავტობუსის გაჩერებასთან წარსულში ცნობილი ქიმიკოსი, თანაც სპორტსმენი, ჭიდაობაში მრავალგზის ჩემპიონი კოტეც. (მისი გვარის დასახელებას ვერიდები, შარი არ ავკიდო), რომ ვნახე, როგორ ხარ-მეთქი.*

*გმირი ვარო, თან ცერა თითი შემართა. არადა, ადრე გოლიათი, მომპასის კანფეტივით მოწუწნულს რომ ჰგავდა, ვითომ გმირი-მეთქი შევეჭვდი. მაშ რაო, ამ ხელისუფლებას რომ ვუძლებთ, გმირები ვართ, მაშ რაო! თითქოს სხვა ჭირი გვაკლდა, ნაახალწლევს რუსთავი-თბილისის ავტობუსით მგზავრობის ფასი გაზარდეს, ორი სტუდენტი მყავს, ყოველდღე თბილისში დადიან, სახლში ყველანი უმუშევარი ვართ. ესეც არ იყოს, ნახევარი რუსთავი თბილისში დადის სამუშაოდ, აქ ჩვენთან სამუშაოს იშოვნიან თუ რა? თან ყველაფერი რომ ძვირდება, პურს ფასი მოუმატეს, წონაშიც დააკლეს. საითაც გაიხედავ, ყველა მხრიდან უბედურება მოდის. ჩვენი ვაიპრეზიდენტი კი კონცერტებში მილიონებს ხარჯავს, დაქრის აღმა-დაღმა, საქართველოში ბოსტნეული რომ უცხოეთიდან შემოდის, ეს ბედის დაცინვა არ არის? ერთი სიტყვით, იმდენი რამ მომაყარა, ვითომ მე არ ვიცოდი, უბრალოდ გული მოიოხა, ბოლოს, — ხომ ვართ გმირებიო, — ჩამქრალ თვალებში ცეცხლი აეგზნო, მერე უმწეოდ ჩამოყარა მხრები. შემეცოდა. არადა, ყვითელი ავტობუსი არ ჩანდა, რომ დროზე გავცლოდი.*

*ისე კი, მართლა გმირები ვართ-მეთქი, — კინაღამ დავეთანხმე, თუმცა გმირები ამგვარ უმსგავსობას არა და არ შეურიგდებიან!*

**გ. ჯ**

თვალსაზრისი

# სუბარი ვეტერანების მსარბლება და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს

**„ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებს საგანგებო მიმართვას უგზავნის. სუბარი მათ რეაგირებისკენ მოუწოდებს რამდენიმე დღის წინათ მომხდარ ფაქტზე, როდესაც საპატრულო პოლიციამ, ძალის გამოყენებით, დაშალა ომის ვეტერანების, 1992-1993 წლებისა და 2008 წლის საომარი მოქმედებების მონაწილეების საპროტესტო აქცია.**



სოზარ სუბარმა ამ მიმართვის შინაარსი ჟურნალისტებს გააცნო პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც აქციის დროს დაკავებული „ქართული პარტიის“ ისნის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ეკა მათიაშვილი და „ქართული პარტიის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი შოთა იამანიძე ესწრებოდნენ.

სოზარ სუბარის განცხადებით, აღნიშნული აქცია მიმდინარეობდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით და აქციის მონაწილეებს დაკავებული არ ჰქონიათ გზის სავალი ნაწილი, არ გადაუკეტავთ მოძრაობა და არ დაურღვევიათ შეკრება-მანიფესტაციის ჩატარებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან პირები, რომლებიც ფიზიკურად უსწორდებოდნენ და რიგ შემთხვევაში აკავებდნენ შეკრების მონაწილეებს, ატარებდნენ სამოქალაქო ფორმას, რაც მათ იდენტიფიცირებას შეუძლებელს ხდიდა.

— ვეტერანების აქცია თითქმის ერთი კვირის მანძილზე ყოველგვარი ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა და პოლიცია გამოჩნდა მხოლოდ მას მერე, რაც აქციის მახლობლად ჩაიარა საქართველოს პრეზიდენტის ესკორტმა. აქციის დაშლა ამ ამბიდან ზუსტად ორმოცი წუთის მერე დაიწყო, რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეს უკანონო გადაწყვეტილება პირადად მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით იქნა მიღებული, — აცხადებს სოზარ სუბარი.

„ქართული პარტიის“ თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ მოსამართლე მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებს დაეყრდნო და უარი თქვა ვიდეომასალის გაცნობაზე, სადაც ცალსახად ჩანს, რომ დაკავებულების მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

მისივე თქმით, ხელისუფლების, ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან უფლებამოსილებათა გადამეტების ფაქტებს საქართველოში სისტემური ხასიათი აქვს და მყარ ტენდენციადაა ჩამოყალიბებული.

სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ არსებულ სიტუაციაში საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია ასეთ ფაქტებზე არის თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი ქმედითი ფაქტორი, რასაც საქართველოს ხელისუფლება მეტ-ნაკლებად მაინც რაღაც ანგარიშს უწევს.

— ამის დასტურია თუნდაც ის, რომ როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ბასმა ცალსახად დაგმო ვეტერანების დარბევის ფაქტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომ აქციის დარბევის მონაწილე ერთ-ერთი პოლიციელი ძალის გადამეტების გამო გათავისუფლებულია სამსახურიდან, — აღნიშნა პრესკონფერენციაზე სოზარ სუბარმა.

მისი თქმით, ერთი პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნა არ არის მომხდარ ფაქტზე ადეკვატური რეაგირება და ყველა დამნაშავე კანონის მოთხოვნის შესაბამისად უნდა დაისაჯოს. თუმცა, იგი დარწმუნებული არ არის, რომ სამართლიანობა იზეიმებს, რადგან „ქართული პარტიის“ მოთხოვნას, რომ დაწყებულიყო გამოძიება, შედეგი არ მოჰყოლია.

სოზარ სუბარი სთხოვს საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებს, თავიანთი უფლემოსილების ფარგლებში, ყურადღება მიაქციონ და გამოეხმაურონ 3 იანვარს მომხდარ აღმაშფოთებელ ფაქტს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ეხმაურებიან ჩვენს გამოკითხვას

# მედროვის კლასიკური ტიპი

თქვენი გამოკითხვა რამდენიმე შეკითხვას შეიცავდა. ვინ არის ყველაზე ქლესაო, მედროვეო, ამპარტავანი და კარიერისტიო. ჩემი აზრით, ჩვენი პარლამენტი, დიდად სამწუხაროდ, სწორედ ასეთი ადამიანებისგან შედგება. ამ ადამიანებს, ასე ჩანს, არც ხალხის ბედი აფიქრებთ და არც ქვეყნისა. უმთავრესად თავიანთი ამჟამინდელი ცხოვრების კეთილმოწყობით არიან დაკავებულნი. როგორც იტყვიან, მოსწრებაზე არიან. ასევე ითქმის სახელმწიფო მოხელეებზეც.

მაგრამ მე მაინც მინდა, რომ ცალკე გამოვყო ერთი პიროვნება, არაპარლამენტარი, ეგრეთ წოდებული პოლიტოლოგი სოსო (იოსებძ ცინცაძე, რომელსაც ნამდვილად გაწყვეტილი აქვს შუბლის ძარღვი და ხან რომელი სატელევიზიო არხიდან გვაბოლებს, ხან რომელიდან. ბრძენთა ბრძენი თუ არ არის, არც მთლად უჭკუო კაცია და ნუთუ ვერ გრძნობს, რომ, მიუხედავად შენიღბულობისა, მაყურებლები და მსმენელები თუ მკითხველები მაინც ვხედავთ, როგორ ექლესება და ემლიქვნელება ხელისუფლებას. თანაც აშკარად ჩანს, რომ თავისი კერძო ანგარიში აქვს ჩადებული ამ ქლესობასა და მლიქვნელობაში.

ასე რომ, ჩემი აზრით, ეგრეთ წოდებულ პოლიტიკოსთა შორის თქვენი გამოკითხვის სათავეში ჯერჯერობით სწორედ ეს სოსო ცინცაძე დგას, რომელსაც კუდი ხელისუფლებისკენ აქვს გაპარებული და მედროვე ადამიანის კლასიკური ტიპია.

**თენგიზ მატარაძე,**
ინჟინერი. ქ. ქუთაისი

ინფორმაცია

# სავალუტო ფონდი კვლავ ტრანშით გვეხმარება

**საერთაშორისო** სავალუტო ფონდმა საქართველოს 153 მლნ დოლარის მოცულობის მორიგი საკრედიტო ტრანში გამოუყო.

ამის შესახებ ფონდის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

— საქართველოს ეკონომიკური აღდგენის კუთხით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, რასაც ადასტურებს ეკონომიკის ზრდა და სავალუტო კურსის სტაბილიზაცია, — აცხადებს სსფ-ის დირექტორ-განმკარგულებლის მოადგილე მურილო პორტუგალი.

საქართველოსთან სსფ-ის თანამშრომლობის პროგრამა 2011 წლის 14 ივნისამდე გაგრძელდება. მისი მიზანია — საქართველოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერა სავალუტო რეზერვების შევსების ხარჯზე, რაც ინვესტორთა ნდობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

პროგრამის მთლიანი მოცულობა დაახლოებით 1 მლრდ დოლარს შეადგენს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...

**ჭორო** საიდან მოდიხარ და გადამწვარ-გადახრუკული ტყეებიდანო — დაუტრაბახია ხანძარში მოყოლილ მაღალ-მაღალ, ახმახი შესახედაობის კურდღელს, თანაც შემოუთვლია გარემოს დაცვის სამინისტროს თავკაცებისთვის: ენას კბილი დააჭირეთ, არავითარ შემთხვევაში არ წამოგცდეთ, რომ სახელმწიფო ფულებს თქვენთან ერთად ვახრამუნებდი, თორემ თუ ერთი მოვხსენი გუდას პირი, თქვენი მოვოკალო მინისტრიანად იმათ გზას გაგიყენებთ, კორუფციისა და მექრთამეობისთვის ვირის აბანოში კედლების ხეხვით რომ იქცევენ თავსო.



ყურცქვიტას ასეთი გაბედული განცხადებით შეიძლება არც დავინტერესებულიყავი, ახალი წლის გარიჟრაჟზე ჩემს კოლეგებს „კვირის პალიტრიდან“ ყველაფრის მომსწრე და მნახავel საქართველოში კიდევ ერთი სენსაციური ინფორმაცია რომ არ „გაექღერებინათ“. მათი თქმით, თურმე ქვეყნის „გადამწვარ ფიჭვნარ-ნაძვნარში ნაპოვნია ახალგაზრდა გარეული კურდღელი, რომლის სიმაღლე არის 1,41 მეტრი. როგორც ჩანს, კურდღელმა იქვე იმშობიარა და დაზარდა ბაჭიები“. სტილი დაცულიაო, იტყობინებიან აღნიშნული კორესპონდენციის ავტორები 2008 წლის ეკოლოგიური ზარალის მაუწყებელი დასკვნიდან ამოღებულ ამ ციტატაში, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი გაკვირვება იმდენად ამონაწერის სტილს არ გამოუწვევია, რამდენადაც დამწვარ ტყეში ნაპოვნი კურდღლის გოლიათურ აღნაგობას. ეხუმრებით? კურდღლის სიმაღლე თითქმის მეტრანახევარს აღწევს, თანაც ის ნაპოვნია არა მუხებითა და წიფლნარით აშხვართულ ტყეში, არამედ სანახევროდ დამწვეული საქართველოს ხანძრებით გადაბუგულ მთებში.

ამ არც თუ მთლად დამაჯერებელ ფაქტს „პალიტრელები“, ცოტა არ იყოს, იუმორისტულ განწყობაზე დაუყენებია — „რას არ იზამს რუსული აგრესია, კურდღელიც კი დათვს დაემსგავსაო, წერენ, ამ კურდღლის ბაჭიებიც თუ მეტრანახევრიანები გამოდგნენ, მერე ნახეთ სეირიო“(!ძ.

იცოცხლეთ, სეირის ყურება მართლაც მოგვიწევდა, საახალწლოდ ეკოლოგიის დამცველებს გოლიათი კურდღლის მიერ დაყრილი ბაჭიებისთვის რომ მიეგნოთ, თუმცა ისინი იმ მიხვედრილობითა და განსწავლულობითაც კმაყოფილნი არიან, რის წყალობითაც მათ უკვე მომხდარი ფაქტიდან დასკვნის გაკეთება შეძლეს. დასკვნა კი ფრიად ოპტიმისტურია, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ გადამწვარ ტყეში სიცოცხლე გრძელდება და ნახანძრალ გარემოში შობილი ყურცქვიტები სადმე იქვე ახლოს დაცუნცულებენ.



# ტყეში კურდღელი მომკვდარიყო,

## ანუ ამბავი გარემოს დაცვის სამინისტროში პრემიების დაგემოვნებით შეხრამუნებისა

როგორც ჩანს, გარემოს დაცვის სამინისტროს საბაჭიო მოღვაწეობასთან დაკავშირებით საკმაოდ კარგად ინფორმირებულია პრეზიდენტი სააკაშვილიც, რომელსაც სათაფლიის მღვიმეში გამართულ მთავრობის სხდომაზე მინისტრი გოგა ხაჩიძე გვარიანად შემოელანძღა, მაგრამ მის მოხსნა-არმოხსნაზე რატომღაც კრინტიც არ დაუძრავს. მთავრობის წევრები ამის თაობაზე ღია კომენტარისგან თავს იკავებენ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად კი საუბრობენ, რომ მინისტრი ამჯერად უკვე გადამწვარ ტყეებში მომრავლებულმა გოლიათმა ბაჭიებმა და მღვიმეში შემორჩენილმა დინოზავრის ნაკვალევმა იხსნეს მოხსნისაგან(!ძ.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ უფრო უცნაურად ის გამოიყურება, რომ საყოველთაოდ ცნობილი კარგი ვოკალური მონაცემების მქონე ბლანჟედამშვენებულ მინისტრს საკუთარი თავის დასაცავად სიტყვაც არ დასცდენია. არადა ხომ შეეძლო ეთქვა, ბატონო პრეზიდენტო, ასე მწვავედ რომ მაკრიტიკებთ, მართლა ცუდად რომ მემუშავა, იმდენ პრემიას, რაც მე ბოლო ორ წელიწადში ავიღე, ტყუილუბრალოდ ხომ არ მივიკუთვნებდიო?!

ეს არ თქვა ბატონმა მინისტრმა და ეტყობა სწორადაც მოიქცა. მართალია განსვენებული გოლიათი კურდღელი ვეღარ შეედავებოდა დამაშვრალ მინისტრს სახელმწიფო თანხების არამიზნობრივად ხარჯვაში, მაგრამ როგორ გააჩუმებდა „მწვანეთა პარტიის“ გაუთავებლად მოკირკიტე ლიდერს, რომელიც გოგა ხაჩიძეს საკუთარი თავის უკანონო პრემირებაში წარამარა ადანაშაულებს? „გარემოს დაცის მინისტრს, ამბობს გიორგი გაჩეჩილაძე, 12 თვის განმავლობაში 93 ათას 456 ლარი აქვს მიღებული, ამას ემატება 75 ათასი ლარი პრემია. ჯამში მინისტრის წლიური შემოსავალი შეადგენს 168 ათას ლარს (თვეში 14 ათასი გამოდისძ. ეს მაშინ, როცა მთელი საქართველოს ტყეები ხანძრებმა წაიღო, მისი პრევენციისთვის კი სამინისტროში ბიუჯეტიდან მხოლოდ 50 ათასი ლარია გამოყოფილი. განა ეს ნორმალურია?“ — კითხულობს „მწვანეთა“ ლიდერი.

**ჩემი კომენტარი:** „მწვანეთა პარტიის“ გამოცდილ ლიდერს, ვფიქრობ, თვალთახედვიდან გამორჩა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს ჩინოვნიკთა დიდი ნაწილი კორფუციასა და მექრთამეობაში აქტიური მონაწილეობისთვის დაპატიმრებულია. როგორც ჩანს, ამან აიძულა მინისტრი, პრემირებისათვის გამოყოფილი თანხები საკუთრივ მას აეთვისებინა. მისივე (გოგა ხაჩიძისძ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის წარმატება, რასაც საქართველომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით მთელ მსოფლიოში მიაღწია. კიდევ გავაგრძელო? ვფიქრობ, საკმარისია.

**ოთარ ხუციშვილი**

◉ ინფორმაცია

### საახალწლო საჩუქრები უსინათლო ბავშვებს

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თბილისის №202 უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს, რომლებიც არდადეგებს სკოლაში ატარებენ, საახალწლო საჩუქრები გადასცა.**

**ამასთანავე, მინისტრმა სკოლა-პანსიონის აღსაზრდელებს ნორვეგიის მთავრობისგან საჩუქრად გადმოცემული სპეციალურად სუსტი მხედველობის ბავშვებისთვის განკუთვნილი წასაკითხი აპარატურა მოუტანა..**

**ეს დანადგარი მორგებულია ნებისმიერი ბავშვის მდგომარეობაზე და აქვს სხვადასხვა მანიპულაციის საშუალება, როგორიცაა ტექსტის გადიდება, ფერის შეცვლა და მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქცია. უსინათლო ბავშვებს გადაეცათ სხვადასხვა სახის გამადიდებელი ლუპები. ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით მსგავსი აპარატი საჩუქრად ყველა ინკლუზიურ სკოლას გადაეცემა.**

### ნემცოვს გათავისუფლებაზე უარი უთხრეს

**შვიდსაათიანი განხილვის შემდეგ მოსკოვის რაიონულმა სასამართლომ უარყო მოძრაობა „სოლიდარობის“ ლიდერის სარჩელი. მიუხედავად იმისა, რომ პროცესზე დაცვის მხარემ წარადგინა ვიდეომასალა, სადაც ჩანდა, რომ ოპოზიციონერი ლიდერი მილიციას წინააღმდეგობას არ უწევდა, სასამართლომ გადაწყვეტილება მისი 15-დღიანი პატიმრობის შესახებ მაინც ძალაში დატოვა.**

**მოსამართლის ვერდიქტს ნემცოვის მომხრე ჟურნალისტები მთელი დღის განმავლობაში სასამართლოს შენობასთან ელოდნენ.**

**პუტინის მომხრე ორგანიზაციამ „ნაში“ ადგილზე ერთკაციანი პიკეტიც გამართა, სადაც ნემცოვის პატიმრობაში დატოვების მოთხოვნა ისმოდა. სწორედ მასთან შელაპარაკების გამო რამდენიმე საათით დააპატიმრეს ნემცოვის ერთ-ერთი მომხრე ილია იაშინი.**

**უახლოეს მომავალში ნემცოვის პატიმრობაში დარჩენის კანონიერებას ევროსასამართლო განიხილავს. ნემცოვის მომხრეები სასამართლოს პოლიტიკურ დაკვეთაზე საუბრობენ და მომხდარს ხოდორკოვსკი-ლებედევის საქმის გაგრძელებად მიიჩნევენ.**

### ვირუსი ცივი ამინდების დადგომისთანავე მოიმატებს

**ჯანდაცვის სამინისტრო ე. წ. „ღორის გრიპის“ ვირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ზომებს იღებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ საქართველო საჭირო მედიკამენტებით უკვე მოამარაგა და მომავალი კვირიდან მედიკამენტები სამედიცინო დაწესებულებებში დარიგდება. საქართველოში სეზონზე ეგრეთ წოდებული ღორის გრიპის 8 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევაა დაფიქსირებული. მათგან 3 პაციენტი მკურნალობას სტაციონარში ახლაც გადის. დაინფიცირებულთაგან 2 ფეხმძიმე ქალბატონია, ერთი კი მცირეწლოვანი ბავშვი, რომელიც იაშვილის სახელობის კლინიკაშია მოთავსებული. 59 წლის მამაკაცის გარდაცვალების მაპროვოცირებელი მიზეზიც სწორედ ეს ვირუსი გახდა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ცივი ამინდების დადგომასთან დაკავშირებით დაინფიცირების შემთხვევები მოიმატებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ეს დარგიც კვდება

# აგრარულ სექტორს საბოლოო განადგურება ემუქრება?

## სახელმწიფოს მეაბრეშუმეობა არ აინტერესებს

**აგრარული უნივერსიტეტის მფლობელი ყოფილი ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე გახდა. სულაც არ არის ძნელი წარმოსადგენი, რა ემუქრება ამ ისედაც გასაცოდავებულ დარგს, თუმცა კი მეპატრონე პროფილის შენარჩუნებას ჰპირდება სახელმწიფოს. კარგად გვახსოვს, რა უქმნა მინისტრმა საქართველოს ხე-ტყესა და ბუნებრივ რესურსებს, ამიტომ ვის გაუკვირდება, რომ აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლები ახალი მეპატრონის გამო შფოთავდნენ.**

მაგრამ ყველაფრის ბენდუქიძისთვის გადაბრალება, პილატეს ხელის დაბანას ჰგავს, რადგან სხვა ჩინოვნიკებიც ამ საკითხში არანაკლებ სცოდავენ. „ეკოლოგიური სამართლის ცენტრში“, რომელიც მწვანეთა პარტიის ოფისშია განთავსებული, საგანგებო ბრიფინგი გაიმართა. ცენტრის წარმომადგენელმა **ნიკოლოზ მჟავანაძემ** განაცხადა, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ აგრარული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებული აღმაშენებლის ხეივანზე მდებარე 4 ჰექტარზე გაშენებული თუთის ხეების პლანტაციები ეკონომიკის სამინისტრომ პირდაპირი წესით მიჰყიდა კომპანია „თეგეტა მოტორსს“. ამ კომპანიის ფაქტიური მფლობელი დეპუტატი თემურ კოხოძეა. ალბათ, ამიტომაც არაა



გასაკვირი, რომ ერთი კვადრატული მეტრი ძალიან დაბალ ფასად — 28 ლარად გაიყიდა.

მჟავანაძის განცხადებით, ცენტრს აგრარული სექტორის წარმომადგენლებმა და ამ დარგის სპეციალისტებმა დახმარებისთვის მიმართეს. საქმე ისაა, რომ კომპანიამ მყისიერად დაიწყო ხეების მოჭრა და 180 ძირი უკვე გაანადგურა. არადა, ეს ქართველი მეცნიერების მიერ გაშენებული და გამოყვანილი უიშვიათესი ჯიშებია, რომელთა ანალოგი არათუ საქართველოში, მსოფლიოშიც არაა. **„დღის წესრიგში დგას 25 სახეობის 2500 ძირის მოჭრაც, — განაცხადა მჟავანაძემ, — აღნიშნული ჯიშების შექმნა ქართველი მეცნიერების მრავალწლიანი მუშაობის შედეგია, რისი განადგურებაც მეაბრეშუმეობის საძირკვლების განადგურებას ნიშნავს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერც აუქციონს ჩავშლიდით, ვერც საკუთრებაში გადაცემას შევუშლიდით ხელს, ამიტომ ახლა ისღა დაგვრჩენია, კომპანია „თეგეტა მოტორსს“ ვთხოვოთ, ქართველ მეცნიერებს უფლება მისცეს, გადარგონ ეს ხეები სხვა ადგილას“.**

ჯერჯერობით, თბილისში დარჩა ტერიტორიების მცირე ნაწილი, რომელიც აგრარული უნივერსიტეტის საკუთრებაა, ასევე არის ფართობები ქუთაისსა და ხონში, სადაც ხეების გადარგვა შესაძლებელია. უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს კომპანია, მისცემს თუ არა ქართველ მეცნიერებს უფლებას, სხვაგან გადარგონ წლობით ნალოლიავები თუთის ხეები, მაგრამ ჩვენი აზრით, ესეც, ალბათ, დროებითი იქნება, რადგან რაც დრო გადის, საქართველოში გაუყიდავი არაფერი რჩება, მით უმეტეს მიწები, ტყეები, მინდვრები თუ ჭალები. ხოლო რაც შეეხება მეაბრეშუმეობას, ისიც იმ გზას ადგას, რომელსაც მეჩაიეობა, რადგან სახელმწიფო ამ დარგების პრიორიტეტად გამოცხადებას სულაც არ აპირებს. მეცნიერების წლობით ნაგროვები ცოდნა? — არც ეს არის ჩვენი ხელისუფლებისთვის მეტად საინტერესო...

**ნია ფიფია**

## ალიარება

**სამშობლო, როგორც ხელოვნება, არის ზედროითი მოვლენა. აქ იმედის გაცრუებაზე ლაპარაკი არ შეიძლება იყოს. მარადიულ მსახურებას მოითხოვს, როგორც ხელოვნება, ისე — სამშობლო. მეტიც, ჭეშმარიტება კიდევ უფრო მეტ მსახურებას მოითხოვს.**

**„დღესასწაული დგება და ვიცი, რომ სიყვარულის ძალა დიდია, მიზიდულობის კანონი მიწის, მაღლა ვიწევ და ფეხზე მკიდია"...** — ეს დავით მაღრაძის პოეზიიდანაა. პოეტი რაინდის წოდებით, ვისაც იტალიაში, პარმის ტაძარში, წმინდა გიორგის ჯილდო და პირველი ხარისხის რაინდის წოდება საზეიმო ცერემონიალზე კარდინალებმა გადასცეს. ამჟამად იგი ნობელის პრემიაზეა წარდგენილი. თუმცა მისთვის მთავარი შემფასებელი მაინც ქართველი ხალხია.



# დავით მაღრაძე:

# იმედი ღვთისგან მოდის და ადამიანი იმედს ვერ გამიცრუებს

**— ნობელის პრემიაზე ხართ წარდგენილი. თქვენთვის რას ნიშნავს ეს აღიარება?**

— ჯერჯერობით დეტალებზე არ ვსაუბრობ, მოგვიანებით ერთიანად განვაცხადებ. შვეიცარიულმა მხარემ წარმადგინა. ძალიან დიდი პატივია ჩემთვის და სიხარული, რომ უცხო ქვეყანაში, უცხო გარესამყაროში ასე მიიჩნიეს და ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. დანარჩენზე ჩემგან უხერხულია საუბარი.

**— მკითხველისთვის საინტერესო იქნება, გვითხრათ, ნობელის პრემიაზე წარდგენის პროცედურები როგორია? პირველ ეტაპზე ჯერ ქართულმა მხარემ არ უნდა წარგადგინოთ ამ საერთაშორისო პრემიაზე?**

—არა, ასე არ არის. როგორც თვითონ შვეიცარიულმა მხარემ მითხრა, ნობელის პრემიაზე წარდგენის დროს გაითვალისწინეს ჩემი კრებული „სალვე", რომელიც ნათარგმნია თურქულად, გერმანულად, იტალიურად, რუსულად. ასევე, მეორე წიგნი „შენთვის", რომელიც ინგლისურადაა ნათარგმნი და მთელი ჩემი შემოქმედება...

**— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პოეტ ბესიკ ხარანაულის კანდიდატურაც უნდა წარდგენილიყო ნობელის პრემიის ლაურეატთა შორის, ეს ფაქტი თქვენთვის რაიმე უხერხულობას ხომ არ შექმნიდა?**

— ჩემთვის ეს ცნობილი არაა. მე ვიცი, რომ ბესიკი წარდგენილი იყო შარშან.

**— ქართულმა მხარემ რატომ არ წარადგინა თქვენი კანდიდატურა? ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე წყდება?**

— მოდით, მაგ ლაბირინთებში არ ჩავერევი. ღირსეული კანდიდატურა წარადგინეს, ბესიკ ხარანაული მშვენიერი პოეტია. ძალიან დიდ პატივს ვცემ მას, წერილიც მაქვს დაწერილი ბესიკის პოეზიაზე. უბრალოდ, შვეიცარიის ასოციაციისა და უნივერსიტეტის საექსპერტო საბჭომ გადაწყვიტა ჩემი დასახელება. ნობელის პრემიას თავისი სპეციფიკა აქვს და წლის ბოლოს დასახელდება გამარჯვებული.

**— 2004 წელს თქვენ მიერ გამოცემულმა პოეტურმა კრებულმა „სალვემ" წარმატება მოიპოვა. შარშან კი რომის პაპის სპეციალური ჯილდო მიიღეთ. ამის თაობაზე საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი. რას გვეტყვით ამ ჯილდოების შესახებ?**

— რომის პაპის მედალი ჩემმა წიგნმა ისევ და ისევ შვეიცარიაში დაიმსახურა. შვეიცარიის საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ამ წიგნს რომის პაპის მედალი. მოტივაცია, თუ რატომ მიენიჭა ჩემს წიგნს მედალი, საგანგებოდ დაწერეს. მე რომ მოვყვე ჩემი სიტყვებით, არ იქნება მართებული.

**— არის ეს ადამიანის დაფასება იმ ფონზე, როცა საქართველოში ნაკლებად აფასებენ ხელოვან ადამიანებს?**

— ყველაზე დიდი დაფასება მოდის მკითხველისგან. რა მოგახსენოთ, სამდურავი არაფერი მეთქმის ქართველი მკითხველის მიმართ. პირიქით, თუ რამე მიმილია, გულისხმიერების სახით, პირველ ყოვლისა, ქართველი მკითხველის მადლიერი ვარ. მშობლიურ გარემოშია მთავარი დაფასება და დანარჩენი მერე, რა თქმა უნდა, სასიხარულოა.

**— ნათქვამია, ქვეყანაში, სადაც ტყვიამფრქვევები კაკანებენ, მუზები დუმანო. თქვენი აზრით, დღევანდელ პირობებში რამდენად გამოსდის ხელოვანს ლექსის წერა? იოლია ასეთ დროს პოეზიისთვის ხარკის გაღება?**

— როდესაც ეს ყველაფერი ბუნებრივია და სულიერი წიაღიდან მოდის, დროის კონიუნქტურას არ ექვემდებარება. არა მგონია, მაინცდამაინც დროს ექვემდებარებოდეს და პოლიტიკურ სიტუაციაზე იყოს დამოკიდებული პოეზიის არსებობა და პოეტური შესაძლებლობები. განწყობილებებზე, ალბათ, გარკვეულწილად მოქმედებს არსებული ყოფა, მაგრამ მაინც არსებობს რაღაც კიდევ უფრო ზედროითი ღირებულებები, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია ადამიანისთვის. ყველას ვუსურვებ ბედნიერებასა და ძალიან კარგ ქვეყანაში ცხოვრებას, მშვიდ გარემოში, სადაც სამართლიანობა შეიძლება იპოვოს კაცმა.

**— ხელოვანი უნდა ერეოდეს სახელმწიფოს საქმეებში თუ განცალკევებულად უნდა იდგეს? პოლიტიკისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ესპანელი მწერალი და ფილოსოფოსი მიგელ დე უნამუნო ყველაზე დიდ ბოროტებას უწოდებდა.**

— ამ შემთხვევაში კატეგორიული არ ვარ. ესეც ინდივიდუალურია. ვისაც სურს, ჩაერიოს სახელმწიფოს საქმეებში, ვისაც არ სურს, არა. თუმცა ვინც არ ერევა არაფერში, ნუ დააწესებს, თითქოს პოეტი არ უნდა ერეოდეს ქვეყნისთვის საჭირო საქმეში. პირიქითაც შეიძლება ითქვას — ვინც ერევა სახელმწიფოს საქმეებში, ნურც ის დააწესებს, რომ სხვა პოეტებიც აუცილებლად უნდა ერეოდნენ. ერთხელ ჟურნალისტმა გოგონამ, რომელიც ჩემგან ინტერვიუს ილებდა, მითხრა, — არ მემეტებით საზოგადოებრივ ქარტეხილებში ჩასარევად, მე თქვენი ლექსები მეძვირფასებაო. მე კი ვუთხარი: ახლა აქ რომ ყაჩაღი შემოგვივარდეს და შეურაცხყოფა მოგვაყენოთ, მე კი გითხრათ, — იცით, მე მწერალი ვარ და ვერ გამოგესარჩლებით-მეთქი, რა შთაბეჭდილება დაგრჩებათ ჩემზე, როგორც კაცზე, როგორც ადამიანზე, როგორც პოეტზე? ახლაც ეს იქნება ჩემი პასუხი.

**— გიფიქრიათ, რომ, შესაძლოა, პოლიტიკოსებმა თქვენი ფაქტორი და ხალხის მხრიდან თქვენდამი სიყვარული თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს? აპრილის აქციების დროს თქვენ პოლიტიკური ტრიბუნიდან ამხნევებდით ხალხს.**

— ვფიქრობ, ჩემს ფაქტორს უჩემოდ ვერავინ გამოიყენებს. შენს სამშობლოსა და ხალხზე იმედი არასდროს გაგიცრუვდება. ერთ ადამიანზეც კი არასდროს გადაიტან ამ ზოგად განწყობილებას. ყველაფრის მიუხედავად, მაინც შენი თვისტომის ერთგული რჩები.

**— ბოლო დროს პოლიტიკაში რატომ აღარ ჩანხართ?**

— ყოველთვის უპარტიო ვიყავი და ახლაც უპარტიო გახლავართ. ისე, საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს" თავმჯდომარედ ამირჩიეს.

**— ბოლოდროინდელმა ფაქტორებმა ან პოლიტიკოსებმა იმედები ხომ არ გაგიცრუეს?**

— იმედი ღვთისგან მოდის და ადამიანი როგორ გამიცრუებს იმედებს?

**— ერთ ლექსში წერდით, „მე ამოვკენკავ თქვენთვის სამშობლოს ამ სანაგვიდან, როგორც მამალი". მესმის, რომ თქვენთვის სულ სხვაა სამშობლო, მაგრამ ზოგადად საზოგადოებისთვის ხომ არ გაცვდა სამშობლოს ცნება და ღირებულება?**

— ეს ლექსი შვილების თაობას ეძღვნება. სამშობლო, როგორც ხელოვნება, არის ზედროითი მოვლენა. აქ იმედის გაცრუებაზე ლაპარაკი არ შეიძლება იყოს. მარადიულ მსახურებას მოითხოვს, როგორც ხელოვნება, ისე — სამშობლო. მეტიც, ჭეშმარიტება კიდევ უფრო მეტ მსახურებას მოითხოვს.

**— საზოგადოებას ხომ არ გაუცრუა იმედი სამშობლომ, იმ სამშობლომ, სადაც ისინი რეალიზებულნი არ არიან და უცხოეთში გარბიან?**

— არა, ეს დისტანცირებული არ არის, ეს ჩვენი ზოგადი ყოფაა. სამშობლოც ესაა: ზოგი გაქცეულია, ზოგი ოჯახს ეხმარება, მაგრამ ისიც განუყოფელი ნაწილია ჩვენი სამშობლოსი. ჯეიმს ჯოისი დაახლოებით 30 წლის იყო, როცა წავიდა ირლანდიიდან და ფიზიკურად აღარც დაბრუნებულა, მაგრამ რომ ჰკითხეს, თქვენ დატოვეთ ირლანდიაო? უპასუხა, — მე არ მახსოვს ეგეთი წამი, რომ ირლანდია დამეტოვებინოსო. ხელოვანის განზრახვა არ არის, რომ მაინცდამაინც დააფასონ. ეს მისი სულიერი მდგომარეობაა, მას ასე შეუძლია ცხოვრება, სხვანაირად ვერ იცხოვრებს. ხელოვანი დაფასებისთვის არ არის მოწოდებული.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე,**
„ХИ-ЭЙЧ-ЭН"

## ძვირფასი ძველი სტრიქონები

### გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორს

ჩემს ჭრელ არქივში მოვიძიე 1918 წლის ყოველთვიური ლიტერატურული, სამეცნიერო და პოლიტიკური ჟურნალი „პრომეთე" №1, შთამბეჭდავი სარედაქციო კოლეგიით: აკაკი შანიძე, აკაკი პაპავა, იოსებ ყიფშიძე, კონსტანტინე გამსახურდია. აღნიშნული ჟურნალის მხოლო სამი ნომერი გამოვიდა.

სხვა ერთობ საინტერესო წერილებთან ერთად ჟურნალში გამოქვეყნებულია სასიქადულო მამულიშვილის აკაკი შანიძის „ქართული ეროვნული ჰიმნი", რომელსაც ვფიქრობ, ქართველი აუღელვებლად ვერ წაიკითხავს.

მჯერა, რომ თქვენი გაზეთის მკითხველს მოხიბლავს ეს სულის შემძვრელი ჰიმნიოდა, რომელიც დღეს საქართველოს გადარჩენის ეროვნული პროგრამის საფუძვლად შეიძლება მივიღოთ.

თქვენი გაზეთის დიდი პატივისმცემელი,
**ნოდარ კუჭავა,**
2011 წლის 7 ნოემბერი — ქრისტეშობის დღე



# ქართული ეროვნული ჰიმნი

(„ალიფაშას" ჴმაზე)

აბა ფხიზლად ქართველო! მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალით პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
და ყური ვუგდოთ გურჯი-ბოღაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!

მოსწონდათ და ახლაც მოსწონთ ჩვენი ქვეყნის მთა და ველი
მზით დამწვარი ჰიჯაზელი, გაყინული ჩრდილოელი,
სპარსი, თურქი, ლეკ-მონღოლი, ბერძენი თუ რომაელი,
და ყველა ჩვენსკენ ისწრაფოდა, ყველა, მაშრიყ-მაღრიბელი.

იყო დრომ რომ მმართველობა, სამართალი გვქონდა, სხვისი.
ბაღდადსა თუ ყარაყორუმს გზები გვედო ათას დღისი.
მტრისგან ბევრჯელ დარბეულა ტფილისი და ქუთაისი,
და იმედს მაინც არ ვკარგავდით, — სული გვახლდა შოთაისი.

სად არ დგმულა ჩვენი ფეხი? სისხლი სად არ დაგვიღვრია?
ერანს, თურანს, ავღანისტანს ყველგან ჩვენი ძვლები ჰყრია.
ფიცხელ ომში გაჴურვებულთ ევფრატ-დიჯლა დაგვიშვრია
და ჩვენის სისხლით შეღებილი ვისლა დღესაც არი მღვრია.

ოთხი დიდი სახელმწიფო მოგვიჭამ-გაგვიცვეთია:
სადღა არი ძველი რომი, ან ძლიერი სპარსეთია?
არაბების ძლიერება, ამბობენ, დღეს ზღვის წვეთია.
და ვის ახსოვან მონღოლები? სხვების ბედიც აგეთია!

სამი ათას წელზე მეტი გვიცხოვრია, როგორც ერსა.
მრავალ შავს დღეს მოვსწრებივართ, მაგრამ ბევრსაც ბედნიერსა,
უსიკვდილოდ არვის ვუთმობთ ჩვენს სამშობლოს მშვენიერსა.
და გვიმღერნია, კვლავაც ვიმღერთ ჩვენს ტკბილს მრავალ- ჟამიერსა.

სანამ იდენს ალაზანი, ჭოროხი და რიონ-მტკვარი,
სანამ თავზე მცველად გვადგას ცივ-გომბორი, ლიხ-მყინვარი,
არ მომკვდარა, არც მოკვდება საქართველო მოცინარი,
და მეტად აღარ შემცირდება მისი სივრცე, მისი მზღვარი.

აბა, ფხიზლად ქართველებო! მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩაუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
და ყური ვუგდოთ გურჯი-ბოღაზს, ნუ, ნუ ვაღებთ დარიალსა!

**აკაკი შანიძე.**
5 დეკემბერი, 1917 წ. დედა-ქალაქი

### 14 იანვარი ლადო ასათიანის დაბადების დღე

# მეგობართა მოსაგონარი

## ლადო ასათიანს



სოფელი ბარდნალა და
ციხე მურის.
კლდეეებზე ცისარტყელა
ბონდის ხიდად...
ჩვენ, როგორც ძველი ღვინო
ლეჩხუმური,
უცებ შენი ლექსი მოგვეკიდა.

შენი ოცდაექვსი წელიწადი,
ასე ამაყი და რაინდული,
შენ სხვაგვარ ცხოვრებას,
არც იწადდი.
ბედი სასიკვდილოდ დაიმდურე.

ტატოს ასაკსაც ვერ მოესწარი,
ბედს ვერ გაუმკლავდი
უცხო ზნიანს...
ქართველ პოეტთაგან
ასე მცირე ხანი
ამქვეყნად არავის
უცხოვრია.

მაგრამ წელიწადი ოცდაექვსი
რამდენ ოცდაექვსის სადარია,
რამეთუ სისხლი ჩვენი
შენმა ლექსმა
ბერვჯერ აღაგზნო და გადარია.

რამეთუ შეგვყივი,
ძმაო ლადო:

— მზემ ჩვენმამ
დაგვათროს და
აგვამღეროს.
ხალხში ლექსად
უნდა
დავიბადოთ,
სიმღერად
დავებედოთ საქართველოს.

შევძახი:
— მზეს შევხვდეთ სისხამ დილით,
მგოსანს დუნედ ყოფნა არ ეგების.
ვიყოთ ჯიუტი და პირდაპირი,
ფეხქვეშ ნურავის ნუ გავეგებით!..

...ღმერთმა ნურასოდეს
მოგვიშალოს
შენი შეძახება ვაჟკაცური...
ჯერ ხომ სვეტიცხოვლის დიდ
ტაძარში
ფეთქავს საქართველოს ცხელი
გული.

...სოფელი ბარდნალა და
ციხე მურის.
კლდეეებზე ცისარტყელა
ბონდის ხიდად...
ჩვენ როგორც, ძველი ღვინო
ლეჩხუმური,
უცებ შენი ლექსი მოგვეკიდა.

**იოსებ ნონეშვილი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ომის ვეტერანების საპროტესტო აქციის დაშლას ფართო კრიტიკა მოჰყვა

**3 იანვარს, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების დაშლა და დაპატიმრება, რომლებიც თბილისში საჯარო პროტესტს გამოხატავდნენ იმ სოციალური შეღავათების გაუქმების გამო, რომლითაც ისინი მანამდე სარგებლობდნენ, ფართოდ გააკრიტიკეს ქართულმა ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ", სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა.**

აქციის მონაწილეები 1992-93 წლის აფხაზეთის და 2008 წლის სამხრეთი ოსეთის ომის ვეტერანები არიან. თერთმეტ მათგანს წვრილმანი ხულიგნობისა ან პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება წაუყენეს. 4 იანვარს თბილისის სასამართლომ თითოეული მათგანი 400 ლარით (225ძ დააჯარიმა. „ქართული ლეგიონის" წარმომადგენელმა – იმ კავშირისა, რომელიც ომის ვეტერანებს წარმოადგენს, განაცხადა, რომ ჯარიმებს შეიძლება ახალი პროტესტი მოჰყვეს, რადგან ვეტერანებს ამ თანხის გადასახდელი ფული ფიზიკურად არ აქვთ.

„კავკას-რესის" ინფორმაციით, 6 იანვარს „ქართული ლეგიონის" ხელმძღვანელმა გია ყარყარაშვილმა, რომელიც 1992-93 წლის აფხაზეთის ომის დროს ქართულ შეიარაღებულ ძალებს მეთაურობდა და 1993-94 წლებში თავდაცვის მინისტრად მუშაობდა, იმ დროს როდესაც საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე იყო, განაცხადა, რომ ლეგიონი ამ ჯარიმების გაუქმებას შეეცდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ვეტერანებმა უარი უთხრეს საპატრულო პოლიციას თხოვნაზე, აეღოთ გმირთა მემორიალთან გაშლილი კარვები, პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწიეს და მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. სამინისტროს 4 იანვრის განცხადებაში ნათქვამია, რომ აქციის ზოგიერთი მონაწილე „აშკარად ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ იყო". ადვოკატმა გია ნიკოლაიშვილმა, რომელიც ვეტერანებს წარმოადგენს, 4 იანვარს პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ეს უკანასკნელი ბრალდება სიმართლეს არ შეესაბამება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშის სიზუსტე ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმაც. 4 იანვრის საღამოს გავრცელებულ წერილობით განცხადებაში, მან აღნიშნა, რომ აქცია შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის სრული დაცვით მიმდინარეობდა. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ ვიდეო კადრებში გმირთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე კარვები არსად არ ჩანს, რაც საეჭვოს ხდის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებას, თითქოს ვეტერანებმა კარვების აღებაზე უარი თქვეს.

ტუღუშმა განაცხადა, რომ ვიდეო მასალაში კარგად ჩანან როგორც ფორმიანი პოლიციელები, ასევე სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებენ და სცემენ აქციის მონაწილეებს, ისინი კი მათ ანალოგიურად არ პასუხობენ. ამის საფუძველზე, ტუღუშმა დაადასტურა, რომ პოლიციის მოქმედება უკანონო იყო და ოფიციალურად მოუწოდა გენერალურ პროკურორს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადეკვატური ნაბიჯები გადადგან დამნაშავეთა დადგენისა და მათ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის წარდგენისთვის.

ოფიციალური გამოძიება მოითხოვეს ასევე ათამდე არასამთავრობო ორგანიზაციამ და უფლებადამცველმა ჯგუფებმა, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ბასმა, მან 5 იანვარს განაცხადა, რომ ის „შეშფოთებულია" ცნობებით პოლიციის იმ ტიპის ძალადობის შესახებ, რომლის „ადგილიც დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არის".

პოლიციის თანამშრომელი, რომელიც კადრებში ჩანს, თუ როგორ ურტყამს ქალბატონს, რომელიც ოპოზიციური „ქართული პარტიის" წევრია, სკანდალის დროს სამსახურიდან გაათავისუფლეს.

იმ სამი ტელეკომპანიიდან („რუსთავი-2", „იმედი" და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული „საზოგადოებრივი მაუწყებელი"ძ, რომლებიც ნაციონალური მასშტაბით მაუწყებლობენ, არც ერთმა არ გააშუქა „ახალ ამბებში" აქციის დაშლის ფაქტი იმ დღეს, როდესაც ის მოხდა. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 5 იანვარს განმარტა, რომ მას არ გააჩნდა პოლიციის ჩარევის ვიდეო კადრები.

უფლებებისა და პოლიციის არასწორი მოქმედებისგან დამოუკიდებლად, ინციდენტმა ცხადყო, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლების რეაქცია კრიტიკაზე, და მეორე მხრივ, ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მზადყოფნა, გამოიყენონ ნებისმიერი შესაძლებლობა ქვეყნის ხელისუფლების ცუდ ფერებში წარმოჩენისთვის.

პარლამენტის ყოფილი სპიკერის ნინო ბურჯანაძის პარტიამ „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის" პოლიციის მოქმედებას უწოდა „დიქტატორული რეჟიმის დამკვიდრებისკენ გადადგმული მორიგი ნაბიჯი". ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის პარტიამ „სამართლიანი საქართველოსთვის" აქციის დარბევაზე ბრძანების გაცემაში პირდაპირ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაადანაშაულა.



RadioFreeEurope RadioLiberty

# საქართველოს ხელისუფლებამ ოპოზიციაში განხეთქილება დაადასტურა

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დაარეგისტრირა ცვლილებანი პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის" ხელმძღვანელობაში: თავისი პოსტიდან გადააყენეს მისი ლიდერი, ექს-პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც მოსკოვთან შერიგების მთავარ ინიციატორად ითვლება. უფრო მეტიც, ბატონ ნოღაიდელთან დაკავშირებით შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე – ერთპარტიელები ახლა უკვე ყოფილ ლიდერს ბრალს სდებენ სახელმწიფო სახსრების გაფლანგვასა და ფულის ჩარიცხვაში.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ხათუნა იოსავამ გვაცნობა, რომ სამშაბათს საღამოს ამ უწყებამ დააკმაყოფილა პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის" ახალი გამგეობის თხოვნა თანამდებობიდან მისი თავმჯდომარის – ყოფილი პრემიერის ზურაბ ნოღაიდელის გადაყენების თაობაზე. ქალბატონმა იოსავამ განმარტა, რომ ეს ცვლილება უკვე დაფიქსირებულია სახელმწიფო რეესტრის ყველა დოკუმენტში. მაშასადამე, ამ მომენტიდან ზურაბ ნოღაიდელი ოფიციალურად არის გადაყენებული პარტიის ლიდერის პოსტიდან.

იმის შესახებ, რომ ექს-პრემიერს, რომელიც ქართველ პოლიტიკოსთა შორის პირველი ჩავიდა მოსკოვში 2008 წლის ხუთდღიანი ომის შემდეგ და არაერთგზის შეხვდა რუსეთის პრემიერს ვლადიმერ პუტინს, გაუჩნდა პრობლემები საკუთარ პარტიაში, ცნობილი გახდა ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში. მაშინ ზოგიერთი რაიონული პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა მოილაპარაკეს პარტიის ხელმძღვანელობის მიერ საფინანსო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ.

საკითხი შეეხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამომრჩეველთა სიების გადამოწმებისთვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვას. შარშან 30 მაისს მუნიციპალური არჩევნების წინ მთავრობამ ოპოზიციურ პარტიებს გამოუყო რამდენიმე მილიონი დოლარი წინასაარჩევნო კამპანიებისა და ამომრჩეველთა სიების გადამოწმებისთვის. ამ მიზნით პარტიის რეგიონალური განყოფილებები იზევებდნენ ასობით ადამიანს, ჰპირდებოდნენ მათ რამდენიმე ასეული დოლარის გადახდას, რომელსაც იყენებდნენ აგიტაციისთვის ამა თუ იმ ოპოზიციური პარტიის სასარგებლოდ.

ზურაბ ნოღაიდელი იმ არჩევნებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ის თავის თავს წარმოაჩენდა, როგორც აშკარა ოპოზიციონერი და რუსეთთან შერიგების კურსის მომხრე, ცდილობდა მიეღწია მოსკოვის კეთილგანწყობილებისთვის. მაგრამ იმ დროისთვის მას გაუჩნდა სერიოზული კონკურენტი პარლამენტის ექს-სპიკერის ნინო ბურჯანაძის სახით, რომელსაც, ბატონი ნოღაიდელისგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციის პრემიერი ღებულობდა სახელმწიფო პროტოკოლის ყველა ნორმის დაცვით. არჩევნებში წარმატებები პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერისთვის შეიძლება გამხდარიყო ძლიერი პოლიტიკური ტრამპლინი. „მე ხელებს და ფეხებს გადავუმტრევ ყველა ჩინოვნიკს და პენსიაზე გავუშვებ სააკაშვილს მერაბიშვილთან ერთად, თუ ისინი გაბედავენ არჩევნების ფალსიფიკაციას", – იმუქრებოდა ექს-პრემიერი.

მაგრამ მისმა პარტიამ არჩევნებზე სრული ფიასკო განიცადა, ხმების 3 პროცენტიც ვერ მიიღო. ჩავარდნაში ზურაბ ნოღაიდელმა ბრალი დასდო რეგიონალური განყოფილებების ხელმძღვანელებს და უარი განაცხადა მათთვის დაპირებული თანხის გადარიცხვაზე. მაშინ ბრალი დასდეს მას არა უბრალოდ უპატიოსნობაში, არამედ სისხლის სამართლის დანაშაულშიც. „ჩვენ მივმართეთ გენერალურ პროკურატურას მოთხოვნით, შეისწავლოს სიტუაცია სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით, – გვითხრა პარტიის გამგეობის წევრმა სერგი ჯავახაძემ. – არის ბევრი საკითხი ჩრდილოვან სქემებთან დაკავშირებით, რომლებიც ძალიან წააგავს ფულის გათეთრების სისტემას".

ყოფილმა პრემიერმა ყველა ამ ბრალდებას „სულელური პროვოკაცია" უწოდა და გამოთქვა რწმენა, რომ კამპანია მის წინააღმდეგ მოწყობილია ხელისუფლების მიერ. „ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ მთელი ამ ისტორიის უკან დგანან შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სპეცსამსახურების ჩინოვნიკები, – განაცხადა ექს-პრემიერის უახლოესმა თანამებრძოლმა პეტრე მამრაძემ. – მათ მოაწყეს პროვოკაცია თვითმარქვიების მონაწილეობით, რათა მოეხდინათ პარტიისა და რუსეთთან შერიგების იდეის დისკრიმინაცია".

მიუხედავად ამისა, გასული წლის ბოლოს, როდესაც ნოღაიდელი კიდევ ერთხელ გაემგზავრა მოსკოვს, მისი პარტიის წევრებისა და აქტივისტების უმრავლესობა შეიკრიბა თბილისში რიგგარეშე ყრილობაზე და მათ გადააყენეს თავმჯდომარე, აირჩიეს გამგეობის ახალი შემადგენლობა. სხვათა შორის, ზურაბ ნოღაიდელი ქველებურად რჩება გამგეობის წევრად „მანამ, სანამ იგი არ გადაიხდის დავალიანებას", – განმარტა სერგი ჯავახაძემ.

ამის შემდეგ უმალვე იუსტიციის სამინისტროში შეიტანეს განცხადება თხოვნით დაარეგისტრირონ ცვლილებანი პარტიის ხელმძღვანელობაში. და აი, ახლა ბატონი ნოღაიდელის გადაყენება დაკანონებულია.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის" ხელმძღვანელობაში ცვლილებებს ხელისუფლება ერთმნიშვნელოვნად როდი აღიქვამს. „ერთი მხრივ, მათ, რასაკვირველია, ხელს აძლევს აჩვენონ, რომ ნოღაიდელმა თავი ვერ გაართვა საკუთარი პარტიის მართვას და ახლა სასაცილოა ვილაპარაკოთ მის უნარზე, გავლენა მოახდინოს საერთაშორისო პოლიტიკაზე, – განმარტავს პოლიტოლოგი დავით ავალიშვილი. – მაგრამ ყრილობის გადაწყვეტილებასთან ხელისუფლების შეთანხმების შემდეგ ნოღაიდელი მიიღებს შესაძლებლობას, გამოაცხადოს ყოფილი თანაპარტიელები შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტებად, მოახდინოს აპელირება დასავლეთის წინაშე და ბრალი დასდოს პრეზიდენტ სააკაშვილს მისთვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვაში. მალე კი მას იოლად შეეძლება შექმნას ახალი პარტია სხვა სახელწოდებით".

Коммерсант

## დედამიწის ზურგზე



**პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა კაჩინსკის თვითმფრინავის კატასტროფაში ირიბად ბრალი რუსებს დასდო**

აეროდრომის დისპეტჩერებს უნდა აეკრძალათ პრეზიდენტის თვითმფრინავის ეკიპაჟისთვის დაშვება, განაცხადა ეჟი მილერმა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დისპეტჩერებს ამის უფლება არ ჰქონდათ. პოლონეთი აწარმოებს თავის გამოკვლევას და ემზადება გამოაქვეყნოს დისპეტჩერებთან მოლაპარაკება.

* * *

**იაპონელებმა შექმნეს სარკე, რომელიც განსაზღვრავს სარკეში მომზირალი ადამიანის სხეულის ტემპერატურას**



დამმუშავებელთა სიტყვებით, მათ მიერ შექმნილი თერმომეტრი შეიძლება ეფექტიანად გამოვიყენოთ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის სწრაფი შემოწმებისთვის ნებისმიერ საზოგადოებრივ ადგილზე, რაც განსაკუთრებით სასარგებლოა, კერძოდ, გრიპის ეპიდემიის დროს.

* * *

**ბრაზილიის შტატ რიო-დე-ჟანეიროში ზვავის მსხვერპლი 250-ზე მეტი კაცი გახდა**

მარტო ნოვა-ფრიგურგუს მუნიციპალიაში ერთი დღე-ღამის განმავლობაში მოვიდა ნალექების ერთი თვის ნორმა. თანაც იმ დროს, როდესაც იანვარი აქ ძლიერი ტროპიკული წვიმების თვედ ითვლება. ტალახისა და ქვების ნაკადებმა დაფარეს მთელი საცხოვრებელი კვარტალები. დანგრეულია არა მხოლოდ ღარიბების დასახლებები, არამედ კეთილმოწყობილი ტურისტული რაიონებიც.



* * *

**დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ავსტრალიაში წყალდიდობისგან დაზარალებულთა დახმარების ფონდს შესაწირი გამოუყო**

გაკეთებული განცხადების თანახმად, „მისი უდიდებულესობა მუდმივად თვალყურს ადევნებს დრამატულ სიტუაციას, რომელიც მოხდა კვინსლენდის შტატში და თანაუგრძნობს ყველა დაზარალებულს". დახმარების თანხას არ ასახელებენ. თავის მხრივ, ბრიტანეთის პრემიერმა შესთავაზა ყოველგვარი დახმარება.



* * *

**ტაჯიკეთმა ჩინეთს თავისი ტერიტორიის ნაწილი დაუთმო**

რესპუბლიკის პარლამენტმა მოახდინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან საზღვრის დემარკაციის შესახებ ოქმის რატიფიკაცია, რომლის თანახმადაც ჩინეთს გადაეცა ტაჯიკეთის საერთო ტერიტორიის 0,77 პროცენტი. ოფიციალური დუშანბე ირწმუნება, რომ საკითხი შეეხება „ტაჯიკური დიპლომატიის დიდ გამარჯვებას", ვინაიდან თავდაპირველად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა პრეტენზიას აცხადებდა გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზე. ოპოზიცია კონსტიტუციის დარღვევაზე საუბრობს.

ტერორისტული ორგანიზაციები



მსოფლიოს № 1 ტერორისტი უსამა ბინ ლადენი — „ალ-ქაიდას“ უმაღლესი ემირი

*„ალ-ქაიდა“ ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ტერორისტული გაერთიანებაა. მისი მთავარი ამოცანაა ურწმუნოთა გლობალური ჯიჰადით მოსპობა და სუნიტური ისლამის აღზევება. თვით სიტყვა „ალ-ქაიდა“ არაბულიდან ითარგმნება როგორც „რწმენის ძირითადი საყრდენი“ ან „ცხოვრების წესი“; ორგანიზაციის აქტივისტთა ცხოვრების წესი კი ემყარება XVIII საუკუნის შუა წლებში არაბეთის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბებულ ვაჰაბიტურ მაზჰაბს, ანუ მოძღვრებას, რომელმაც ჩვენი დროის ისლამურ სამყაროში პოპულარობა სწორედ „ალ-ქაიდას“ შექმნის შემდეგ მოიპოვა. „ჩვენ ვართ მუსლიმანთა ის თაობა, რომელმაც ვაჰაბიტური მოძღვრება მთლიანად გაითავისა და ცხოვრების ძირითად საყრდენად აქცია!“ — განუცხადა „ალ-ქაიდას“ ლიდერმა უსამა ბინ ლადენმა 1989 წელს ავღანეთიდან დაბრუნებულ არაბ მოჯაჰედებს. ორგანიზაციასაც სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი.*

# „ალ-ქაიდა“ გლობალური ჯიჰადის მქადაგებელთა გაერთიანება

## ჩამოყალიბების მოკლე ისტორია

ვაჰაბიტური მოძღვრების ფუძემდებელი მუჰამად აბდ ალ-ვაჰაბ იბნ თამიმის ( 1703- 1792ძ აზრით, ყოველი მუსლიმანი, ვინც კი თავს ჭეშმარიტ მორწმუნედ თვლიდა, ვალდებული იყო, დაეცვა ისლამური ცხოვრების წესი — „ალ-ქაიდა ალ-ისლამიია“, რაც უპირველეს ყოვლისა, ერთი ღმერთის უპირობო აღიარებას, შარიათის ნორმების დაცვას, დღეში ხუთჯერ ლოცვას, მოწყალების ხშირად გაცემასა და ურწმუნოებთან შეურიგებელ ბძროლას გულისხმობდა. მუჰამად აბდ ალ-ვაჰაბის აზრით, ჭეშმარიტი „ალ-ქაიდა და „ალ-ისლამიია“ მხოლოდ მუჰამედის ეპოქასა და მის შემდგომ სამ თაობაში არსებობდა, მერე კი მიზეზთა გამო შეიცვალა, რამაც ისლამური სამყარო დაცემის გზაზე დააყენა.

XVIII საუკუნის შუა წლებში, როდესაც აბდ ალ-ვაჰაბმა ახალი მოძღვრების ქადაგება დაიწყო, არაბებით დასახლებული ტერიტორიების დიდი ნაწილი — მათ შორის მექა და მედინაც, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. აქედან გამომდინარე, მუსლიმანთა უმაღლეს სასულიერო ლიდერად — ხალიფად — სწორედ ოსმალეთის სულთანი ითვლებოდა, რაც არაბთა უკმაყოფილებას იწვევდა; ამიტომაც იყო, რომ მუჰამად აბდ ალ-ვაჰაბის მოძღვრება მწვავედ უპირისპირდებოდა იმხანად ოსმალეთში ფესვგადგმულ ჰანიფიტურ სწავლებას — სულთნის კარის ოფიციალურ იდეოლოგიას. ამითვე აიხსნებოდა ისიც, რომ ვაჰაბიზმის ფუძემდებელი მორწმუნე მუსლიმანებს მოუწოდებდა, ჯიჰადი არა მარტო ურწმუნოთა, არამედ „თვალთმაქც მორწმუნეთა“, ანუ მუნაფიყთა წინააღმდეგაც ეწარმოებინათ. „თვალთმაქცებად“ კი, რასაკვირველია, მუჰამად აბდ ალ-ვაჰაბი ოსმალებს მიიჩნევდა. ჭეშმარიტ მორწმუნეთა შორის განხეთქილებას ის „ფიტნად“ — დაუშვებელ მოვლენად თვლიდა, რითაც არაბთა გაერთიანების აუცილებლობას უსვამდა ხაზს.

ახალი მოძღვრების მიმდევრებმა — ვაჰაბისტებმა, რომელთაც სათავეში საუდის არისტოკრატიული საგვარეულოს მესვეურები ედგნენ, ოსმალეთის წინააღმდეგ 1744 წელს პირველი აჯანყება მოაწყვეს, მცირე ხნით დამოუკიდებლობაც მოიპოვეს და ისლამური ხალიფატი შექმნეს, მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ ძალზე შორს იყო; მსოფლიოში პირველი (და ჯერჯერობით — ერთადერთიძ ვაჰაბისტური სახელმწიფო — საუდის არაბეთი საერთაშორისო საზოგადოებრიობამ მხოლოდ გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში აღიარა; ვაჰაბიზმი იქ ამჟამადაც ოფიციალური ოდეოლოგიაა. კონსტიტუციურად გამოცხადებულია ყურანი, ისლამური ცხოვრების წესების უმკაცრესად დაცვა კი, ცხადია, ყველასათვის სავალდებულოა. საუდელ ღვთისმეტყველთა შორის ცხოვრების წესის თაობაზე ფარულმა უკმაყოფილებამ პირველად თავი მაშინ იჩინა, როდესაც საუდის არაბეთის მესვეურები გასული საუკუნის 70-იანი წლების შუახანებში შეერთებულ შტატებს დაუახლოვდნენ.

იმხანად რადიკალმა ალიმებმა (ღვთისმეტყველებმაძ აქტიურად წამოიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ ურწმუნოებთან დაახლოებას, შესაძლოა, ისლამური ცხოვრების წესში არსებითი ცვლილებები გამოეწვია. ამიტომაც, მათი აზრით, მორწმუნეებს ყურანისა და შარიათის დოგმები განუხრელად უნდა დაეცვათ: „თუ ჩვენში რწმენა ღრმად იქნება ფესვგადგმული, დასავლეთი ვერ წაგვლეკავს და ცხოვრების წესსაც ვერ შეგვიცვლის“, — აცხადებდა ერთ-ერთი ალიმი მუჰამად ალ-ატასი, რომელსაც პირველ ცოლად ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის, მილიონერ მუჰამად ბინ ლადენის ყოფილი მეუღლე, ჰამიდა ესვა. ჰამიდას ერთადერთი ვაჟი — მილიონერის მემკვიდრე უსამა მამის ოჯახში იზრდებოდა, მაგრამ დედასა და მამინაცვალთან ურთიერთობა მაინც ჰქონდა.




ამერიკული პროპაგანდისტული პლაკატი „ალ-ქაიდას“ საწინააღმდეგოდ

ახალგაზრდა უსამა ბინ ლადენი ალ-ატასიმ გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს საყოველთაოდ ცნობილ პალესტინელ ალიმს, აბდულლაჰ იუსუფ ალ-აზამს გააცნო. ეს უკანასკნელი იმხანად სწორედ საუდის არაბეთში ცხოვრობდა, რადგან მემარცხენე მიმართულების „პალესტინის განმათავისუფლებელ ორგანიზაციასთან“ დაპირისპირებული იყო და სამშობლოში აღარ დაედგომებოდა. ალ-აზამი თვლიდა, რომ ებრაელთაგან პალესტინის გათავისუფლება უპირველეს ყოვლისა, გლობალური ჯიჰადით უნდა მომხდარიყო და არა ურწმუნოებთან კავშირით: „ისრაელიც და საბჭოთა კავშირიც ურწმუნოთა შექმნილი სახელმწიფოებია. მათ შორის არსებული ყველა წინააღმდეგობა მოჩვენებითი... მუსლიმანი ბრძოლაში მუსლიმან ძმებს უნდა დაეყრდნოს და არა ურწმუნო ქაფირებს!“ — ჩასჩიჩინებდა ალ-აზამი უსამას.

სწორედ ამ დროს საბჭოთა კავშირის აქტიური ჩარევით ავღანეთში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა — მოსკოვის აღგილობრივმა აგენტებმა, ჰაფიზულა ამინის მეთაურობით საკუთარ რეზიდენციაში წაახრჩვეს პრეზიდენტი ნურ მუჰამად თარაქი და ქვეყანა დემოკრატიული რესპუბლიკად გამოაცხადეს. ჰაფიზულა ამინი, ცხადია, პრეზიდენტი გახდა, მაგრამ ხალხში პოპულარობა ვერ მოიპოვა. კრემლში ჩათვალეს, რომ ამინის ლიკვიდაცია აუცილებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ამინის ოპოზიცია იოლად გაიმარჯვებდა. 1979 წლის 27 დეკემბერს ავღანური არმიის ფორმაში გამოწყობილმა საბჭოთა სპეცრაზმელებმა პრეზიდენტის სასახლე იერიშით აიღეს; ჰაფიზულა ამინი მოკლეს, თუმცა მოგვიანებით ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პრეზიდენტმა თავი თვითონვე მოიკლა. რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა არმიამ ავღანეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებები უკვე აშკარად წამოიწყო, რამაც აღაშფოთა დასავლეთიც და ისლამური სამყაროც.

უსამა ბინ ლადენის მასწავლებელმა აბდულლაჰ იუსუფ ალ-აზამმა ავღანეთში ომის დაწყებისთანავე საბჭოთა კავშირს ჯიჰადი გამოუცხადა და ყველა საუდელ მორწმუნეს მოუწოდა, ავღანელი ერთმორწმუნე ძმების დასაცავად ხელში იარაღი აეღოთ. მოწოდებას უამრავი მოხალისე გამოეხმაურა და მალევე ალ-აზამის ლოცვა-კურთხევით ყველა მათგანი პაკისტანის ტერიტორიაზე, ქალაქ ფეშავარის ახლოს მდებარე საწვრთნელ ბანაკში ჩავიდა, სადაც პაკისტანელი და ჩინელი ინსტრუქტორები მუშაობდნენ. დაუზუსტებელი ცნობებით, მოხალისეებს თან ბინ ლადენიც ახლდა, რომელიც ბანაკში პაკისტანის სპეცსამსახურების რამდენიმე წარმომადგენელს შეხვდა. ამ უკანასკნელებმა ახალგაზრდა საუდელისგან შეიტყვეს, რომ არაბული ქვეყნებიდან ომში წასვლის მსურველი ბევრი იყო; საპასუხოდ მათ ბინ ლადენს ურჩიეს, რომ კარგი იქნებოდა, თუ მოხალისეთა ორგანიზების საკითხს როგორმე არაბეთშივე მოაგვარებდა. უსამა ბინ ლადენს ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა და საჩქაროდ უკანვე გაბრუნდა.

არაბი მოხალისეების მოსამზადებელი ბაზის შესაქმნელად ბინ ლადენმა მამას სთხოვა დახმარება და მისგან 12 მილიონი დოლარი მიიღო. ამ ფულით სულ რაღაც ათასამდე მოჯაჰედის მომზადება მოხერხდა, მაგრამ როდესაც ისინი ბრძოლაში ჩაებნენ და ბრწყინვალე შედეგიც აჩვენეს, უსამა ბინ ლადენისა და აბდულლაჰ იუსუფ ალ-აზამის პერსონებით უკვე ამერიკული სპეცსამსახურებიც დაინტერესდნენ; 1984 წელს საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში უსამა ბინ ლადენმა და აბდულლაჰ იუსუფ ალ-აზამმა „არაბი მოჯაჰედების მოსამზადებელი სკოლა“ (მაქთაბ ალ-ხიზამათ ალ-მუჯაჰედინ ალ-არაბძ დააარსეს, რისთვისაც მათ ფინანსური დახმარება აშშ-ის ორმა ისლამურმა ორგანიზაციამ — ნიუ-იორკში მდებარე „ალ-ქიფას ლტოლვილთა ცენტრმა“ (Al-Kifah Refugee Centerძ და არიზონის შტატის ქ. ტუქსანის ისლამურმა ცენტრმა (Tucson islamic Centerძ გაუწია. სხვათა შორის, ამ რამდენიმე ხნის წინ ცნობილი ვებპორტალ „ვიკილიქსზე“ დაიდო ინფორმაია იმის თაობაზე, რომ ამ ორმა ორგანიზაციამ სინამდვილეში, ერთი მხრივ, CIA-ს, მეორე მხრივ კი, ბინ ლადენსა და ალ-აზამს შორის ფოსტალიონის ფუნქცია იკისრა,, თავად CIA-ს მიერ ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, 1984 წელსვე — ჯერ კიდევ სკოლის დაარსებამდე — აბდულლაჰ იუსუფ ალ-აზამმა აშშ-ში იმოგზაურა, იქაურ მეჩეთებში შემოწირულობა მოაგროვა, ცნობილ მუსლიმან ოლიგარქებსაც შეხვდა და ფინანსების მოპოვებაც ამ გზით შეძლო. ერთი სიტყვით, როგორც უნდა მომხდარიყო, საინტერესო ისაა, რომ დაარსებისთანავე, „არაბ მოჯაჰედმა მოსამზადებელი სკოლის“ ფილიალები ამერიკაშიც გახსნა. სხვათა შორის, სწორედ მაშინ უთხრა პაკისტანის სახალხო პარტიის ლიდერმა ბენაზირ ბჰუტომ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტს ჯორჯ ბუშ-უფროსს: „ფრთხილად იყავით... ასე ხომ თქვენ ფრანკენშტაინს შექმნით“...

1989 წლის 24 ნოემბერს პაკისტანის ქ. ფეშავარში, გულშან იყბალის ქუჩაზე მდებარე მეჩეთში, დაუდგენელმა პირებმა თვითნაკეთი ბომბი ააფეთქეს. ტერაქტს ემსხვერპლა 22 კაცი; მათ შორის — აბდულლაჰ იუსუფ ალ-აზამი, რომელიც პარასკევის ლოცვას უძღვებოდა. „არაბ მოჯაჰედთა მოსამზადებელ სკოლას“ სათავეში უსამა ბინ ლადენი ჩაუდგა. იმხანად ავღანეთიდან საბჭოთა ჯარი უკვე გამოსული იყო; CIA-ს ეჭვი ჰქონდა, რომ ალ-აზამის ხალხი ქვეყნის ერთ-ერთ ისლამურ-ფუნდამენტალისტურ დაჯგუფებას ხელისუფლების ხელში ჩაგდებაში ეხმარებოდა. ამ ეჭვების თაობაზე ბინ ლადენმა ყველაფერი იცოდა და პირველი, რაც მასწავლებლის სიკვდილის შემდეგ გააკეთა, ფეშავარის ტერაქტის მთავარ შემკვეთად CIA-სა და თეთრი სახლის გამოცხადება იყო.

**მიხეილ ლაბაძე.**

„არსენალი“ №26.

(დასასრული იქნება)



„ალ-ქაიდას“ მომხრეთა საპროტესტო დემონსტრაცია პაკისტანის ქ. ფეშავარში, 2003 წელი.

◉ ჭადრაკი

# ანაკლიასა და თბილისში


თამაზ გელაშვილი და შოთა აზალაძე

**ქართველ მოჭადრაკეებს ცხელი დღეები უდგათ — ისინი ქალთა და ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილეობენ. მანდილოსნებს ანაკლია მასპინძლობს. იქ, როგორც გაუწყეთ, 13 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი წრიული სისტემით იბრძვიან მედლებისთვის (საპრიზო ფონდი 13 500 ლარი). უკვე გათამაშდა სამი ტური. ორ-ორი ქულით პირველ-მეოთხე ადგილებს სალომე მელია, ბელა ხოტენაშვილი, მარიამ დანელია და ნინო ხურციძე ინაწილებენ. შემდეგ მოდიან: ნინო ბაციაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, მაკა ფურცელაძე, მირანდა მიქაძე, მაია ლომინეიშვილი — 1,5-1,5, სოფიო ნიკოლაძე — 1, ნაზი პაიკიძე, სოფიო ხუხაშვილი, მერი არაბიძე — 0,5-0,5 ქულა.**

ვაჟთა ჩემპიონატის ფინალში 16 მონაწილეა. ისინი ნოკაუტსისტემით გამოავლენენ ჩემპიონს. პირველ და მეორე რაუნდებში ორ-ორ, ნახევარფინალსა და ფინალში კი ოთხ-ოთხ კლასიკურ პარტიას ითამაშებენ. საჭირო თუ გახდა, ტაიბრეიკებიც გაიმართება. ტურნირის საპრიზო ფონდია 14 500 ლარი. პირველი რაუნდის პირველი ტური ასე დამთავრდა: დავით ზარქუა — მიხეილ მჭედლიშვილი 1:0, ლუკა პაიჭაძე — დავით არუთინიანი 0,5:0,5, კონსტანტინე შანავა — მალხაზ სულაშვილი 0,5:0,5, ბაჩანა მორჩიაშვილი — ლევან ფანცულაია 0:1, დავით ჯოჯუა — თორნიკე სანიკიძე 0,5:0,5, გიორგი მარგველაშვილი — დავით ზენიძე 0,5:0,5, თამაზ გელაშვილი — შოთა აზალაძე 1:0, მერაბ გაგუნაშვილი — გიგა ყუფარაძე 0,5:0,5. გუშინ გვიან საღამოს განმეორებითი ორთაბრძოლები გაიმართა.

საგულისხმოა, რომ ქალთა და ვაჟთა შორის მედალოსნებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს.

**ლექსო ცინცაძე**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

◉ კალათბურთი

# მეოთხე კალათა გვერგო

## წილისყრა 30 იანვარს გაიმართება


ვაჟა დანელიას ფოტო

**გულშემატკივრებმა უწყიან, რომ კალათბურთელ ვაჟთა 2011 წლის ევროპის ჩემპიონატს 31 აგვისტოდან ლიტვა უმასპინძლებს. უკვე ცნობილია დასკვნით ეტაპზე მონაწილე 22 გუნდის ვინაობა. დანარჩენ ორ ვაკანსიას ფინეთ-უნგრეთ-პორტუგალიას შორის გამორჩეულნი შეავსებენ. ფიბა-ევროპამ ფინალისტები 6 კალათაში გაანაწილა:**

1. ესპანეთი, სერბეთი, საბერძნეთი, სლოვენია;
2. საფრანგეთი, ხორვატეთი, რუსეთი, თურქეთი;
3. გერმანია, ლიტვა, ჩერნოგორია, ბელგია.
4. დიდი ბრიტანეთი, მაკედონია, ისრაელი, საქართველო;
5. იტალია, ბულგარეთი, პოლონეთი, ბოსნია;
6. უკრაინა, ლატვია + 2.

ევროპის ჩემპიონატის წილისყრა 30 იანვარს თბილისის დროით 21:30 საათზე გაიმართება. ექვსგუნდიანი ოთხი ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე სამ-სამი საუკეთესო გავა.

**გივი გაგუა**

◉ ფეხბურთი

# მოზაიკა

**22 იანვარს სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება, თუმცა მისი გამარჯვებული უკვე ცნობილია.**

უახლოესი 4 წლის განმავლობაში ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებას ისევ დომენტი (ზვიად) სიჭინავა გაუძღვება, რადგან სფფ-ს გენერალურ სამდივნოში შესაბამისი წერილობითი თანხმობა მხოლოდ მან შეიტანა ვადის ამოწურვამდე 20(!) წუთით ადრე.

შეგახსენებთ, რომ აქამდე მისი წინამორბედები ნოდარ ახალკაცები, მერაბ ჟორდანია და გიორგი ნემსაძე (1 საათით!) იყვნენ.

**ფიფას იანვრის რეიტინგში საქართველომ ერთი საფეხბურთო წაიწია წინ და 72-ე პოზიციამდე აღზევდა.**

ახალი სეზონის პირველ ამხანაგურ მატჩს „ჯვაროსნები“ 9 თებერვალს კვიპროსზე სომხეთთან გამართავენ და, ვიმედოვნებთ, ჩვენი თანამემამულენი კიდევ უფრო დაწინაურდებიან.



რაც შეეხება ელიტურ ოცეულს, იგი ასე გამოიყურება: ესპანეთი, ჰოლანდია, გერმანია, ბრაზილია, არგენტინა, ინგლისი, ურუგვაი, პორტუგალია, ხორვატეთი, ეგვიპტე, საბერძნეთი, ნორვეგია, რუსეთი, იტალია, ჩილე, განა, სლოვენია, აშშ, საფრანგეთი, სლოვაკეთი.

**იტალიის თასი.** „ინტერი“ — „ჯენოა“ 3:2, „პალერმო“ — „კიევო“ 1:0.

**ესპანეთის სამეფო თასი.** „ბარსელონა“ — „ბეტისი“ 5:0, „ვილიარეალი“ — „სევილია“ 3:3.

**ინგლისის ლიგის თასი.** „ვესტ ჰემი“ — „ბირმინგემი“ 2:1, „იფსვიჩი“ — „არსენალი“ 1:0.

**აზიის თასის გათამაშება:** ყატარი — ჩინეთი 2:0, უზბეკეთი — კუვეიტი 2: 1.

◉ მძლეოსნობა

# „სპორტის დედოფალს“ ახალი უფროსი ეყოლება



**ორი ათეული წლის განმავლობაში თავკაცობდა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას თამაზ მდინარაძე, რომელიც დეკემბრის მიწურულს თანამდებობიდან თავისი ნებით გადადგა.** ფედერაციის რიგგარეშე არჩევნები 20 იანვარს გაიმართება. „სპორტის დედოფალს“ პრეზიდენტობის მხოლოდ ერთი კანდიდატი ჰყავს — უკრაინაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი ალექსი ახვლედიანი. მძლეოსანთა თავყრილობას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო უმასპინძლებს.

◉ ველოსპორტი

# „კრილატსკოეზე“ — ფრთაშესხმული



**მომავალ კვირას ჩინეთის დედაქალაქში მსოფლიოს თასის ერთ-ერთი ეტაპი გაიმართება ველოსპორტში. საასპარეზოდ ქართველი სპორტსმენი დავით ასკურავაც გაემგზავრება.** პეკინის ბატალიების წინ ჩვენებურმა მოსკოვში რუსეთის ღია პირველობაზე მოსინჯა ძალები. „კრილატსკოეს“ ველოტრეკი მისთვის იღბლიანი აღმოჩნდა: 250 მეტრზე გაქანებით მან პირველი ადგილი დაიკავა, აი, ჯგუფურ ბრძოლაში კი მე-9 ადგილს დასჯერდა.

◉ მემორიალი

# ისევ ქიმიკოსები უმასპინძლებენ

**სახელოვანი ქართველი კალათბურთელების — ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ტრადიციულ მემორიალს წლეულსაც რუსთავის ქიმიკოსების დარბაზი უმასპინძლებს. შეჯიბრებაში რვა გუნდი („ბათუმმა“, „ქუთაისმა“, „არმიამ“ უარი თქვეს) იასპარეზებს. ორგანიზატორებმა ისინი ორ ჯგუფში გადაანაწილეს A ჯგუფი: შსს, თსუ, „აგრარული“, „სამედიცინო“, B ჯგუფი: „ენერჯი“, „სოხუმი“, სტუ, „დინამო“.**



23 იანვარს ფინალში ჯგუფების გამარჯვებულები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. აქვე ჯგუფური ტურნირის კალენდარსაც გაგაცნობთ.

**18 იანვარი.** შსს — „აგრარული“ (12.00), თსუ — „სამედიცინო“ (14.00), „ენერჯი“ — „დინამო“ (16.00), „სოხუმი“ — სტუ (18.00).

**20 იანვარი.** შსს — „სამედიცინო“ (12.00), „აგრარული“ — თსუ (14.00), „ენერჯი“ — სტუ (16.00), „დინამო“ — „სოხუმი“ (18.00).

**21 ინვარი.** „აგრარული“ — „სამედიცინო (12.00), „დინამო“ — სტუ (14.00), „ენერჯი“ — „სოხუმი“ (16.00), შსს — თსუ (18.00).

**ლაშა დიდია**

◉ ინტერნეტიდან

## ოლიმპიადა ბელარუსის გარეშე?



**ევროპარლამენტის პრეზიდენტმა ეჟი ბუზეკმა შეიტანა წინადადება, გარიცხონ ბელარუსი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებების, მათ შორის ოლიმპიადებისა და მსოფლიო ჩემპიონატების, მონაწილეთა რიგებიდან. ეს კი გამოწვეულია ბელარუსის ხელისუფალთა მიერ 2010 წლის დეკემბერში ოპოზიციის მიტინგის დარბევით.**

ევროპარლამენტის უცხოეთის საკითხების კომიტეტის სხდომაზე მუზეკმა განაცხადა, რომ „ბელარუსის მთავრობას არა აქვს დემოკრატიულ ლეგიტიმურობა. და საჭიროა, გადაისინჯოს ბელარუსთან დამოკიდებულების პოლიტიკა“.

ოპოზიციის აქცია მინსკში გაიმართა 2010 წლის 19 დეკემბერს. ქალაქის ქუჩებში გამოვიდა რამდენიმე ათასი კაცი, რომლებიც აპროტესტებდნენ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს (ოფიციალური მონაცემებით ალექსანდრე ლუკაშენკომ დააგროვა ხმების 80 პროცენტი).

მომიტინგეების მიერ მთავრობის სახლის აღების მცდელობისთვის დააპატიმრეს 600-ზე მეტი კაცი, მათ შორის პრეზიდენტობის შვიდი კანდიდატი. ცნობილი გახდა, რომ არჩევნების დღეს დაგეგმილი იყო ტერაქტების სერიაც.

## ფოტოგრაფებმა გამოიჭირეს

**„მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელის მარიო ბალოტელის ყოფილმა სატრფომ, 20 წლის ელიანა კარტელამ იტალიელ ფოტოგრაფ ფრანჩესკო ბარონიოსთან ერთად თავის თაყვანისმცემლებს მოუმზადა ძალზე პიკანტურსურათებიანი 2011 წლის კალენდარი.**



ლამაზმანი ელიანა ბოლოს ფეხბურთელთან ერთად 2010 წლის მაისში ნახეს, როდესაც ქალიშვილი უკვე ოფიციალურად ითვლებოდა პარტიის „ლიგა ნორდის“ დამაარსებლის უმბერტო ბოსის ვაჟიშვილის რენცო ბოსის საცოლედ. წყვილს ფოტოგრაფები ჩაუსაფრდნენ, როდესაც ბალოტელი სტუმრად ეწვია ფოტომოდელს თავის „აუდით“, ელიანა ჩაჯდა მარიოსთან და ერთად გაემგზავრნენ „ინტერის“ მიერ იტალიის თასის მოგების აღსანიშნავად (მაშინ ბალოტელი ისევ ამ გუნდის მოთამაშე იყო).

როგორც შემდეგ ელიანამ განმარტა — „მე და მარიო სამი წელია, ვმეგობრობთ!“ თუმცა ამ გამართლებამ არ დააკმაყოფილა რენცო ბოსი და ლამაზმანმა ყველა დაკარგა — საქმროც და ფეხბურთელიც. თუმცა მისდამი ყურადღებას ახალი კალენდარი მიიპყრობს.

◉ „დაკარი“

# დაბრკოლებებს არ უშინდება



**სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ არგენტინა-ჩილეში გრძელდება ტრადიციული ავტორალი „დაკარი“. 9 ეტაპის შემდეგ, შეიძლება ითქვას, საერთო პირველობისთვის ბრძოლა ყველა კატეგორიაში გრძელდება.**

მოტოციკლეტებს შორის ისევ ლიდერია ესპანელი მარკ კომა. მას რაღაც 8 წუთით ჩამორჩება ფრანგი სირილ დეპრე.

მსუბუქი ავტომანქანებით რბოლაში მორიგეობით ლიდერობენ ესპანელი კარლოს საინსი და ყატარელი ნასერ ალ-ატია. სატვირთო ავტომანქანებით კი ლიდერობისთვის ერთმანეთს ებრძვიან რუსეთელები „კამაზიდან“ — ვლადიმერ ჩაგინისა და ფირდაუს კაბიროვის ეკიპაჟები. ისინი განსაკუთრებით კარგად ქვიშნარში ასპარეზობენ.

„დაკარის“ ფინიშამდე დარჩა ორი საბრძოლო ეტაპი და ერთიც საფინიშო.

### განსაშორებელი

# გულში გაგრძელებული სიცოცხლე...

***...განსაშორებელი გაყრისა და განშორების წერილია... ასე ჩამიწერია ჩემს ერთ-ერთ ჩანახატში — სწორედ დეკემბრის — იგივე ქრისტეშობის თვეში რომ დამიწერია — ძველი და ახალი წლების მიჯნაზე!***

...ახლა მარტო ძველ წელთან განშორების კი არა, უსაყვარლეს ადამიანთან გამოთხოვების გამო ვწერ ამ სტრიქონებს, რომელთა გაწყობაში გრძნობა — ტკივილი მიშლის ხელს, მაგრამ ვცდილობ ამით არა დავაკლო რა ჩემი საყვარელი დეიდაშვილის, დასავით თანაშეზრდილი მაყვალა ალადაშვილის თუნდაც სილუეტს, — ჰო, ასეა უკვე, ის ხომ უკვე აჩრდილთა შორის იქნება!.. გიორგობის მეორე დღეს უმტყუნა ჯანმრთელობამ — ეს მისი საყვარელი დეიდის — დედაჩემის უკანასკნელი დღეც იყო, — რანაირი დარიც უნდა ყოფილიყო, რა დროც, — მაკო დეიდასთან გაჩნდებოდა გასაჭირში, — მის რჩევებს, პატარა, სათუთ ხელებს ჯადოსნური ძალა ჰქონდა!.. მერე დარეჯანი, ახლა მე... წინა დღეებში ვეკითხებოდი ასე და ასე ვარ, რა ვქნა, რას მირჩევ-მეთქი და დამარიგა როგორც დედა არიგებს ხოლმე შვილს, — ოღონდაც ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მიიღებ ხოლმე ამ საგულე წამალს, — მოყვანილობაც გულისნაირი აქვს, — მეუბნებოდა ტელეფონში და ვგრძნობდი, იმ დროს იღიმებოდა, — ჩვენს შორის სულ ორი წელი იყო განსხვავება — მე — ჩვენი დედულის ბებიის ბაბუცა წერეთლის ქალისთვის მეათე შვილიშვილი ვიყავი, — ის მეთერთმეტე!

2010 წლის გაზაფხულზე ის „დამეწია“ — 80 წლის გახდა! როგორც ძვირფას ადამიანს და მკურნალს ჩემსას, — მისებრ კოხტა ლექსიც მივუძღვენი... რას ვიფიქრებდი, თუ ეს უკანასკნელი სადღეობო სახსოვარი იქნებოდა!.. გაეხარდა დღეობაზე რომ მივართვი, მალე კი, მაისის ბოლოს გაზეთ „ქართულ სიტყვაში“ დაიბეჭდა ჩემს ახალ ლექსებთან, ახალ ხელეურთან ერთად! „გაზაფხულის ჭაღარა“... ეს დილის ჩანახატია!

***წუხელ თურმე უთოვლია, —***
***ესეც მარტის ოინი!..***
***გუშინდელმა ნუშობამ***
***გაზაფხული მახარა!..***
***თრიალეთზე ჩანდა თოვლი,***
***როგორც მარტის მანდილი,—***
***როგორც ძილში გაჩენილი***
***უეცარი ჭაღარა.***

თავიდანვე სათუთად ეპყრობოდა ჩემს ნაწერებს, — გულდასმით წაიკითხავდა, გულდაგულ შეინახავდა! საერთოდ, ძალიან წიგნიერი და ცნობისმოყვარე იყო; ტკბილად მახსოვს მათთან, სიღნაღში გატარებული დღეები, ჯერ კიდევ ბავშვობაში, მერე სასკოლო არდადეგებზე ზამთარ თუ ზაფხულ — რაც სანახავი იყო ახლომახლო, მივივლი-მოვივლიდით. ერთი სახალისო რამ იყო ხევში, თავგატეხილად წოდებულ წყაროზე ჩარბენა, იქიდან კი მძიმე-მძიმედ ცივ-ცივი წყლით სავსე კოკურებით ამოალმართება, გალავნისკენ გასეირნება, საღამოხნით „ბულვარში“, რომლის ახლოს თეატრიც იყო, გავლა-გამოვლა. საკითხავადაც ბევრი დრო გვრჩებოდა, საოჯახო ბიბლიოთეკა მდიდარი არჩევნის საშუალებას გვაძლევდა. ოჯახის ბურჯს — დომენტი ალადაშვილს ძველი ქართული ჟურნალ-გაზეთების კომპლექტები ჰქონდა შემონახული. ფანჯრებთან ოთახში ეწყო ეს იშვიათი განძი, რაც ერთხელ დეიდა ოლიამ — საყვარელიძის ქალმა — გვაჩვენა, როგორც ოჯახის რელიკვია და ნებაც მოგვცა მე და მაყვალას ხანდახან თვალი გადაგვევლო ხოლმე.



საინტერესო დეტალი: მე და მაყვალა უკვე დედისერთები აღარ ვიყავით, — და-ძმა შეგვემატა: მე ტყუპები — დარეჯანი და დათო, ბოლოს რუსუდანი, მაყვალას იზა და ვაჟა. იზამ, პატარა დამ, უფროს დაიკოს ჩემი სახელი — ნანა შეარქვა — ასე ეძახდა სიყვარულით ბოლომდე! ეს ჩვენი ერთობის სიმბოლოც იყო!..

ისევ მაყვალაზე: სკოლიდანვე ყველაფერში ფრიადოსანი, — პირველობა მისი ბუნებრივი თვისება იყო: სამედიცინო ინსტიტუტში ოქროს მედლით შეაბიჯა, — ინსტიტუტიც წარჩინების დიპლომით დაამთავრა, —ხელობად თერაპევტობა აირჩია, პრაქტიკა ბოდბის საავადმყოფოში გაიარა, იქ სადაც მონასტერია და სადაც ედემივით გარემოა, სადაც ერთად ვყოფილვართ წმინდა ნინოს საფლავზე... პირველი პროფესიული ნაბიჯები კი თბილისის ა. ალადაშვილის სახელობის მე-2 საავადმყოფოში გადადგა.

თერაპიაზე იტყვიან ხოლმე — მარჩიელობააო, — მარჩიელობასაც ხომ გუმანი სჭირდება — წლების მანძილზე რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე, ზოგადი თერაპიის განყოფილების გამგე, რომელიც XX საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი მკურნალის კონსტანტინე ვირსალაძის ტრადიციებს აგრძელებდა, მაყვალა ალადაშვილი დასნეულებული ადამიანებისათვის სავანედ იქცა — ნებისმიერი ჩივილის დათმენით მოსმენა, ავადმყოფისთვის ეჭვების გაფანტვა და სინამდვილეში გარკვევა, მისთვის ჩვეული ხერხი იყო, მადლიერიც ათასობით ჰყავდა!

ამიტომაც აღმოჩნდა საუკუნის მიჯნაზე რესპუბლიკური მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვის დროს საუკეთესო მკურნალთა ათეულში მაყვალა ალადაშვილის გვარი! ზოგადი თერაპია — ამას როდი დასჯერდა, — ენდოკრინოლოგიით დაინტერესებულს 70-იან წლებში საატესტაციო კომისიისგან ექიმ-ენდოკრინოლოგის პირველი კატეგორიის კვალიფიკაცია მიენიჭა, 1983 წელს კი უმაღლესი კლასის ექიმი-თერაპევტი წარჩინებულობის ნიშნით დააჯილდოვა ჯანმრთელობის საკავშირო სამინისტრომ!

...ალბათ ზოგჯერ ადამიანს ფარული თანდაყოლილი ნიშატი აქვს სამომავლო საქმიანობისა, — ასე იყო მაყვალაც, ექიმობა რომ ჰქონდა თავიდანვე მიზნად დასახული!.. ექიმობას სნეულთ მლხენობას უწოდებს საბა — სწორედ სნეულთ მლხენელად იყო მიჩნეული მაყვალა ალადაშვილი ქართულ სინამდვილეში!..

...ორმოცი დღე გასულა, — უკვე სხვა წელიწადში გადავდგით ფეხი...

...უფალო ულხინე მხევალსა ახალს ჭირმრავალ მაყვალა-ნანას! — ის უკვე შენიანია!

**ნანა ღვინეფაძე**

### 14 იანვარი — ქართული თეატრის დღე

## ამჯერად მასპინძლობს ქუთაისი...



დღეს, 14 იანვარს ტრადიციულად ქართული თეატრის დღე აღინიშნება. ამჯერად ქუთაისი მასპინძლობს ქართველ თეატრალებს. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართება საზეიმო საღამო, სადაც ისაუბრებენ გასული თეატრალური სეზონის შედეგებზე, პრობლემებზე, რომლებიც, რა გასაკვირია, მრავლად აქვს ქართულ სასცენო ხელოვნებას. აქვე დაასახელებენ გასული თეატრალური სეზონის ლაურეატებსაც და დასახავენ სახვალიო ამოცანებს.

### ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

- რომაული კალენდრის მიხედვით ერთ კვირაში ცხრა დღე იყო.
- XVII საუკუნის ბოლოდან 1793 წლამდე კუნძულ ჰაიტის დასავლეთი ნაწილი საფრანგეთის კოლონია იყო და მაშინ მას სანდომინგოს ეძახდნენ.
- ინდური ფულის რუპიის ნებისმიერი ნომინალის კუპიურაზე მაჰათმა განდია გამოსახული.
- ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, ჯონ კენედი, ამერიგო ვესპუჩი, ქრისტეფორე კოლუმბი, მოჰამედ V, ბენ-გურიონი, სადამ ჰუსეინი, მუსტაფა ქემალ ათათურქი, ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი, ჯონ ლენონი — ამ ცნობილ პიროვნებებს აერთიანებს ის, რომ მათი სახელები ქვეყნის აეროპორტებს უწოდეს.
- „მიწა მშრომელებს“, „დასამარდეს ბურჟუაზია — მოისპოს კაპიტალი, ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია“, „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“, — ასეთი წარწერები ამშვენებდა საბჭოთა რუსეთში დამზადებულ საყოფაცხოვრებო ჭურჭელს საუკუნის 20-იან წლებში.
- ინგლისელი გენერალი ჰუდსონ ლოუ რამდენიმე წლის განმავლობაში, უდიდესი სიამოვნებით ასრულებდა თავისი სოციალური მდგომარეობისა და რანგისთვის შეუფერებელი ციხის ზედამხედველის მოვალეობას, — ის ნაპოლეონ ბონაპარტს დარაჯობდა.
- 1873 წელს პარიზიდან გაგზავნილი წერილის მარკა ფილატელისტურ იშვიათობას წარმოადგენს. წერილის შტემპელზე იკითხება: „კვამლშია გატარებული“ და ამის მიზეზი იმ პერიოდში პარიზში მძვინვარე ქოლერის ეპიდემია იყო.
- ბერძენთა ლაშქარს ტროას ომში აგამემნონი სარდლობდა.
- რუსეთის მეფე ივანე მრისხანემ სპილო ჩამოახრჩო, რადგან მან მეფის წინაშე მუხლი არ მოიდრიკა.
- 1930 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში იყიდებოდა სიგარეტი, რომლის ღერები 27,5 სმ სიგრძისა იყო, კოლოფში კი მხოლოდ 5 ღერი იდო. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმ დროს თამბაქოს მწარმოებლები სიგარეტის თითოეულ ღეროზე გადასახადს იხდიდნენ.
- ტენოჩტიტლანი აცტეკების სახელმწიფოს დედაქალაქი იყო. 1521 წელს ესპანელებმა იგი მთლიანად დაანგრიეს. დღეს მის ადგილას მდებარეობს ქალაქი მეხიკო.
- პარიზსა და ტოკიოში მედიცინის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ძეგლი დაუდგეს ბაყაყს.
- ნაპოლეონ ბონაპარტს არმიის ოფიცერი ანრი ბეილი სტენდალის ფსევდონომით წერდა.
- ერთმა ამერიკელმა გამომგონებელმა ხელისუფლებას შესთავაზა, გამოეშვათ ოდნავ შეზნექილი ფული, რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემდა, ადვილად აეკრიფა მონეტები სწორი ზედაპირიდან.
- ძველი მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ბიბლიოთეკა ალექსანდრიაში იყო.
- საბჭოთა კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა და 1991 წლის 26 დეკემბერს დაიშალა.

### ნომრის კარიკატურა



**განცხადება**

15 თებერვალს, 14 საათზე, კინოს სახლში (ძმები კაკაბაძეების ქ. №2ძ გაიმართება პარტია „საქართველოს გზის“ ყრილობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 91-45-46.

**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

შვილი მაკა გოგუაძე, სიძე გოჩა კუხალაშვილი, შვილიშვილები თათია, მიშიკო, და თალიკო ჩორგოლაშვილი, დისწულები ცისანა, ზაზა ჯოხაძეები, ძმისწულები დოდო, მამუკა ჩორგოლაშვილები, მძახლები მიშა, ლილი კუხალაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლამარა იონას ასული ჩორგოლაშვილი**



პანაშვიდი 14, 15 I, 17 სთ. მისამართი: ქ.თბილისი, ირ. აბაშიძის 81, II სადარბაზო, II სართული. გამოსვენება საბურთალოს საძმო სასაფლაოს (ახალი პანთეონი)ძ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან, 16 I, 15 სთ.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი, სამართლიანობისთვის თავდადებული მებრძოლი, შესანიშნავი პიროვნება, ჟურნალისტთა დიდი მეგობარი

**ლამარა ჩორგოლაშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები და თანაკლასელები სამძიმარს უცხადებენ ვოვა გოგობერიშვილს დედის

**თამარ არქანიას**

გარდაცვალების გამო.

**განცხადება**

**შპს „ზესტაფონის საგზაო სამმართველოს“ სამეურვეო ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონი გაიმართება 2011 წლის 26 იანვარს 12 საათზე.**

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება: „ასენიზაციის მანქანა“ „გაზ 53“ ამორტიზებული, ფასი 2500 ლარი, ავტომანქანა კაზ-4540 ამორტიზებული, ფასი 200 ლარი, ავტომანქანა გაზ-„52-04“ ამორტიზებული ნაწილი, ფასი 85 ლარი, ბულდოზერი ტ-180, ამორტიზებული, ფასი 2800 ლარი, სატკეპნი „დ3-17“, ფასი 5200 ლარი, ავტომანქანა „გაზ-52“, ფასი 500 ლარი, სატკეპნი „დ3-54“, ფასი 3000 ლარი, საკი „ადდ 305“ — 1300 ლარი, ასფალტის დამგები „დეუ- 143“ — 25000 ლარი, ავტომანქანა „გაზ-69“, ფასი 500 ლარი, ადმინისტრაციული შენობა თავისი ინვენტარით 14000 ლარი, ორთქლის ქვაბის შენობა 3200 ლარი, რკინიგზის ჩიხი 1 გრძ. მეტრი 140 ლარი, ორთქლის ქვაბი — 7000 ლარი.

**მისამართი: ზესტაფონი, სოფ. ქვედა საქარა. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ, ტელეფონი 899-23-48-33.**

**გაკოტრების მმართველი პ. კიკალიშვილი**

## სულიერება

# წმინდა ბასილი დიდი

**14 იანვარს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია ზეიმობს ახალი წლის I დღეს, იესო ქრისტეს წინადაცვეთას და ამ დღესაა ხსენება წმინდა ბასილი დიდისა.**

...წმინდა ბასილი დიდი კეთილმსახურებით გამორჩეულ ოჯახში დაიბადა. მისი ბებია, დედა, და და ძმა წმინდანთა დასში ირიცხებიან.



ათენის სკოლის დამთავრებისას მან გადაწყვიტა უდაბნოში ცხოვრება. უდაბნოშივე მოღვაწეობდა მისი მეგობარი გრიგოლ ღვთისმეტყველი.

გრიგოლი ღვთისმეტყველთან ერთად ის მართლმადიდებლობის დაცვისთვის იბრძოდა.

აღსანიშნავია ბასილი დიდის ზრუნვა მღვდელმსახურების ერთგვაროვბასა და წესრიგზე. მან სამოციქულო ეკლესიაში ლიტურგიის წესი ჩამოაყალიბა, რომელიც ბასილი დიდის სახელით არის ცნობილი... ეს წირვა დიდმარხვის კვირაობით და ზოგიერთ სხვა დღეს ტარდება. მის მიერვეა შედგენილი ლოცვა, რომელიც მუხლმოდრეკით სულთმოფენობის წირვის შემდეგ იკითხება.

... 14 იანვარს ეკლესიაში წმინდა ბასილი დიდის ლიტურგია აღესრულება. საყოველთაოდაა ცნობილი ბასილი დიდის თხზულებები.

საქართველოში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს ბასილი დიდი; ამაზე მეტყველებს ის, რომ 14 იანვრისთვის აკეთებენ ჩიჩილაკს, რომელსაც მოფერებით „ბასილის წვერს“ უწოდებენ. ამბობენ ბასილი წარმოშობით ქართველი ყოფილა. წლის ბედნიერად წარმართვისთვის ქართველები ბასილის ევედრებოდნენ.

მინაწერი: გვინდა ახალი წელი ძველი წესისამებრ მოგილოცოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა“.

**გიული ლიპარტია**

## დაიჯესტი

### ფერადი ინფორმაცია

**რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, საგანგებო ფოსტის ადგილზე მიტანა მარტო მტრედებს კი არა, არამედ... ფუტკრებსაც შეძლებიათ!**



მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთი ფრანგი მეფუტკრე მისგან ხუთ კილომეტრში მცხოვრებ მეგობრისთვის თამბაქოს ქაღალდზე დაწერილ ბარათებს ფუტკრებს ატანდა. პირველი მსოფლიო ომის დროს კი ამ, ფაქტობრივად, შეუმჩნეველ „ფოსტალიონებს“ კაიზერის მზვერავები იყენებდნენ: მწერების მუცილებს ისინი აბრეშუმის ძაფებს აბამდნენ: წითელი ქვეით ჯარს ნიშნავდა, ლურჯები — ცხენოსან ჯარს, მწვანეები კი — არტილერიას.

### სხვა რომ არ ყოფილიყო მასავით ბრძენი...

**როცა აბუ-ალი იბნ სინა (რომელსაც ევროპაში ავიცენის სახელით უფრო იცნობენძ, 17 წლისა გახდა, მისი, როგორც მკურნალის სახელი ისე ქუხდა, რომ იგი ბუჰარის ამირას სამკურნალოდ მიიწვიეს. ეს ამბავი რომ გავრცელდა, ბევრი მისი კოლეგა ლამის შურით გაიგუდა: „ამ ცხვირმოუხოცავს მდაბიოთა მკურნალობა თუ შეუძლია, ეს ჯერ კიდევ ბევრს არაფერს ნიშნავს. უბრალო ხალხს ავადმყოფობებიც უბრალო აქვს, დიდ ამირას კი აუცილებლად რაიმე დიდი სნეულება უნდა სჭირდეს!“ — ძილიკობდნენ ისინი. ასე იყო თუ ისე, ავიცენას მცდელობით ამირა მალევე გამოკეთდა, ხოლო როცა მბრძანებელმა ჰკითხა, თუ რას ისურვებდა ჯილდოდ, ყმაწვილმა მხოლოდ მისი უნიკალური ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება სთხოვა.**



რამდენიმე წლის შემდეგ, შინაარეულობების დროს, ამირას უზარმაზარი ბიბლიოთეკა დაიწვა — იმ ხანებში ბუჰარაში ხალხი ხელისუფალთა მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდა, თუმცა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ბიბლიოთეკისთვის ცეცხლის წაკიდებაში ბრალი... ახალგაზრდა ექიმს დასდეს: ამბობდნენ, რომ ავიცენას არ სურდა ძველი წიგნები სხვასაც წაეკითხა და ისიც მასავით ბრძენი გამხდარიყო.

### ხელის ჩამორთმევისა და კოცნის გარეშე

**შემოდგომა-ზამთარში რესპირატორული დაავადებების რიცხვი საგრძნობლად მატულობს ხოლმე, ამდენად მნიშვნელოვნად იზრდება პირადი ჰიგიენის როლი. ცხვირის მოხოცვის დროს ცხვირსახოცი ან ხელსახოცი ოთხჯერ თუ არ მოკეცეთ, თქვენი ხელები ინფექციის წყაროდ იქცევა. ცხვირსახოცის ან ხელსახოცის ხმარების შემდეგაც კი ხელები აუცილებლად მაინც უნდა დაიბანოთ. თუკი რაღაც მიზეზით ცხვირსახოცი არა გაქვთ, ეცადეთ იდაყვში ჩააცხინკოთ და არა ხელში, რომელსაც შემდგომ ვინმეს ჩამოართმევთ. თუმცა, ეპიდემიოლოგები მაინც დაბეჯითებით გვირჩევენ, რომ ეპიდემიების დროს შეხვედრისას უარი ვთქვათ ხელის ჩამორთმევასა და გადაკოცნაზე, ხოლო შინ მისულები მარტო პირისა და ხელების დაბანით კი არ შემოიფარგლოთ, არამედ ცხვირიც გამოიწმინდოთ.**

თუკი ნიღაბს ხმარობთ, იგი ყოველ 3-4 საათში ერთხელ უნდა შეცვალოთ, შემდგომ ცხელი წყლით საპნით ან სარეცხი ფხვნილით გარეცხოთ. თუ ახლობელი ავად გაგიხდათ, მისთვის ინდივიდუალური ჭურჭელი გამოყავით. ამასთან, გახსოვდეთ, რომ გრიპის ვირუსები არამდგრადნი არიან სპირტისა და ეთერის მიმართ, ამიტომ ეცადეთ ხელები ოდეკოლონით ან არყით გაიწმინდოთ,



რაც დეზინფექციის კარგი საშუალებაა, ხოლო ავადმყოფის მომვლელს ბამბის ძსოვილის ტანსაცმელი უნდა ეცვას, რომელიც რეგულარულად უნდა ირეცხებოდეს 95 გრადუს ტემპერატურაზე ნებისმიერი სარეცხი საშუალებების გამოყენებით.

### იცინეთ და გვაცინეთ!

**ძნელია კაცის მოძებნა, რომელსაც სიცილი არ უყვარს. მაგრამ იქნებ ბევრმა არ იცის, რომ გულღია ღიმილი და გულიანი სიცილი, თურმე:**

- პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს სხეულის ყველა ორგანოზე;
- აჩქარებს სუნთქვას, ამუშავებს დიაფრაგმას, კისერს, მუცელს, სახესა და მხრებს;
- ზრდის სისხლში ჟანგბადის შემცველობას;
- აფართოებს არტერიებს და ამცირებს გულისცემას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევასა და აფართოებს კანის მიმდებარე სისხლძარღვებს (ამიტომაცაა, რომ სიცილის დროს კაცს სახე უწითლდებაძ;



- აუმჯობესებს მადას და წვავს კალორიებს;
- უფრო ადვილად აძენინებს მეგობრებს;
- ზრდის ინტელექტსა და აძლიერებს იმუნიტეტს;
- და ბოლოს, სულაც, სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7736 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3623 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7429 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.8437 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 — +8 |
| ქუთაისი. | +7 — +14 |
| ბათუმი. | +8 — +14 |
| ზუგდიდი. | +4 — +8 |
| თელავი. | -1 — +9 |

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

— რავაა შენი თუთიყუში? — ეკითხებიან ჭიჭიკიას.
— ცოლი რომ მოვიყვანე, ბუჯო, გული გაუსკდა და მოკვდა.
— როგორ იეჭვიანა?
— არა მგონია, ბუჯო, უბრალოდ ჩემმა ცოლმა ლაპარაკი არ აცალა.

* * *

— თიკა, რამდენი წლისა ხარ?
— ოცდაათს გადავაბიჯე!
— რომელ წელს?

* * *

— გადამრევენ ახლანდელი ავადმყოფები, — ეუბნება ერთი ქირურგი მეორეს, — სულ გააფერისტდნენ, კაცო!



— რა მოხდა?
— გუშინ ერთის მუცელში ასდოლარიანი ჩამრჩა და ისევ გავჭერი, რომ ამომეღო.
— მერე?
— 50-დოლარიანი დამხვდა.

* * *

— ბიძია, გინდა პოლიციელებზე ანეკდოტი გითხრა?
— მეც ხომ პოლიციელი ვარ?!
— მერე რა, ნელა მოგიყვები და გაიგებ.

* * *

— ქალი ზოოპარკში თუთიყუშების გალიასთან მიდის და ერთ-ერთს ეკითხება:
— შენ, ეი, სულელო, ლაპარაკი იცი?
— მე კი ვიცი ლაპარაკი, მაგრამ შენ თუ იცი ფრენა, შე ჯოჯოხეთის მაშხალავ! — უპასუხებს გაბრაზებული თუთიყუში.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.